“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (304)
იანვარი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეექვსე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ფიქრები დროებით

(გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ – 25)

თამარ გაბოძე

საუკუნის მეოთხედით ხარ ნატვირთი –
ერთად ზიდე ტკივილი, დრო, სიხარული.
შენს განვლილ გზას მოწიწებით დავაკვირდი –
მოგიმკია უანგარო სიყვარული.

იზიარებ ერის მარცხს თუ წარმატებას, –
შენს ფურცლებზე საქართველოს ფეთქავს
პულსი.
გისურვებ კვლავ სამმაგი დროს წარმატებას, –
არ შეცვალო მსახურების ნაღდი კურსი!

ოცდახუთი? – სიჭაბუკის ასაკია –
და ჯერ ჭაბუკს ყველა გიქებს ავტორიტეტს,
შენ უხვად გაქვს ის ნიჭი, რაც სხვას აკლია,
გული შენი ბევრ ღირსეულ ავტორს იტევს.

... ღირსეული რედაქტორის გარჯა გშვენის,
სიბრძნისა და ერთგულების ამაგდარო, –
ჭაშნაგირო სიყვარულის განაჩენის –
იმძლავრე, რომ კიდევ წლობით გაგვახარო!

გისურვებდი კავკასიურ ჯანმრთელობას –
მკითხველიც და წლებიც ბევრი მოგემატოს!
შენ უყვარხარ განათლებულ
ქართველობას,
ღვთის წყალობით მიწყივ ხელი
მოგემართოს.

პირუთვნელად მატიანის ხარ მსახური, –
უტოლდები ჰიმნოგრაფთ და მეციხოვნეთ,
არ მოგწყინდეს ერთგულებით სამსახური,
გვჯერა შენი – სხვანაირად ვერც
იცხოვრებ...

გულზე იწერ საქართველოს მატიანეს,
მზად ხარ ერის წყლულს „მოარგო“
ჭახრაკი რომ...

იუბილარს უფლის თვალი დაგტრიალებს –
იმზეგრძელე, უკვდავების ჭაშნაგირო!

ციკლიდან: „მუჰაჯირობა“

მუჰაჯირობა აჭარაში

ჯემალ კარალიძე

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, როგორც სრულიად საქართველო, ისე მისი ცალკეული მხარეები, არაერთხელ დამდგარა დიდი განსაცდელის წინაშე. არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ნებისმიერი დამპყრობელი ესწრაფოდა როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი კონკრეტული რეგიონების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, დაქვემდებარებას. ამ თვალსაზრისით არც ჩვენი ერთმორწმუნე ქვეყნები – ბიზანტია და რუსეთი აღმოჩნდნენ გამონაკლისი. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა სძლია კავკასიაში ჰეგემონობისათვის მებრძოლ ძირითად მეტოქეებს – ირანსა და ოსმალეთს და წარმატებას მიაღწია – დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო. XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერია ოსმალეთთან და ირანთან წარმოებული წარმატებული ომების შედეგად სულ უფრო აფართოებდა ტერიტორიულ გავლენას კავკასიაში. იგი ცდილობდა დაპყრობილი ტერიტორიების სრულ დაქვემდებარებას. ამისათვის კი აუცილებელი იყო სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონების ფართომასშტაბიანი კოლონიზაცია და სრული ასიმილაცია. სწორედ ამისათვის დასჭირდა რუსეთს კავკასიის მკვიდრი ხალხების – ადიღთა, ქართველთა (მესხთა და აჭარელთა), აფხაზთა და სხვათა მშობლიური ადგილებიდან აყრა და გადასახლება – მუჰაჯირობა.

სიტყვა მუჰაჯირი, არაბული(ر ج ه – هجر) ჰ-ჯ-რ ფუძიდან მომდინარეობს, რომელიც „მიტოვებას, წასვლას, ინტერესის დაკარგვას“ ნიშნავს. ასევე ამ სიტყვას უკავშირდება სიტყვა „ჰიჯრეთი“, რომელიც „მოგზაურობას, მიგრაციას და გადასახლებას“ ნიშნავს. ისლამის ისტორიაში „ჰიჯრეთს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ტერმინი ჰიჯრეთი კონკრეტულად უკავშირდება ისტორიულ მოვლენას, რომლის დროსაც გაუსაძლის პირობებში მყოფმა მექას მუსლიმებმა მიატოვეს თავიანთი სამშობლო, სახლ-კარი და ახალი საბინადროს საძიებად მედინაში გადასახლდნენ. ეს ამბავი მოხდა 622 წელს. მათ აღმსარებლობის თავისუფლების სანაცვლოდ ყველაფერი მიატოვეს. ამ მძიმე და რთულ პირობებში გადასახლებულ მუსლიმებს „მუჰაჯირები“ ეწოდათ. ჰიჯრეთი და მუჰაჯირი ძირითადად ამ მნიშვნელობით გამოიყენება მუსლიმ საზოგადოებასა და ისლამურ ლიტერატურაში. როდესაც გვესმის ეს სიტყვები, პირველად ამ მნიშვნელობით ასოცირდება ჩვენს წარმოდგენაში. ასევე ეს სიტყვა გამოიყენება მათთვის, ვინც განუდგა ბოროტსა და ცუდს, რასაც ადამიანი თავისი ხელით, ფეხით, ენით, ყურით, თვალით, ფიქრითა და სურვილით ჩადის.

მუჰაჯირობის სუსხი პირველებმა მესხებმა

გამოსცადეს, შემდეგ ადიღე-ჩერქეზებმა, აფხაზებმა და ბოლოს აჭარლებმა. აჭარიდან მუჰაჯირად წასვლა მოუწიათ არა მარტო მკვიდრ მაჰმადიან ქართველებს – აჭარლებს, არამედ იმჟამად აჭარაში მცხოვრებ ჩერქეზებს, აფხაზებს, ლაზებს და სხვებს.

აჭარა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, სან-სტეფანოს ზავითა და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ჩამოშორდა ოსმალეთს და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, აჭარაში არ გამქრალა ეროვნული მთლიანობის შეგნება. მოსახლეობის ასეთი განწყობილება გამოხატა გულო კაიკაციშვილმა ქობულეთში შესულ გურიის სახალხო ლაშქრის მებრძოლებისადმი მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს: *„ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები ... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ემადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა.*

ეხლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა, გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით. თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას“.

სამუსლიმანო საქართველოს დაბრუნების ფაქტს მიესალმა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. სწორედ მათი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება. ახლად შემოერთებულ მხარეში ბევრი პრობლემა იყო გადასაჭრელი. იმდროინდელი ქართული პრესა ფართო ადგილს უთმობდა საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის პრობლემებს. ცდილობდა ხელი შეეწყო მათი გადაწყვეტისათვის. თანამემამულეებს მოუწოდებდა არ დალოდებოდნენ მთავრობის ღონისძიებებს, განსაცდელში არ მიეტოვებინათ თანამოძმეები. *„გასული ომიანობის წყალობით ხალხს არ უთესნია, არ უხნავს, მთელი ეს მხარე (საუბარია ქობულეთზე – ჯ.კ.) ჯარებითა და მათი ცხენებით არის გადაჯირგალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე დარჩა... ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო! რითაც შეგვეძლება დავეხმაროთ ჩვენს ახლად შემოერთებულ მოძმეებს“* – წერდა „დროება“.

გ. წერეთელი აჭარაში ომის შემდეგ შექმნილ ვითარებას ასე აღწერდა: *„კინტრიშის გადმოლმა ქობულეთის მხარე სულ გავერანებული იყო, მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველა ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი... ხუცუბანში ყოფნა შეუძლებელი იყო... ერთ ნაჭერ პურში ექვს შაურს ვაძლევდით, ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდოდა, ის უნდა გაქცეულიყო ამ უბედური ადგილებიდან“.*

აჭარაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე: *„წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მოუტანა უბედურება, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყოველივეზე მომეტებულად დასაჯა. ჩვენ არ შეგვიძლია, გულგრილად ვუყურებდეთ ჩვენი ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდაც ცარიელის გულის ტკივილითაც შევყურებდეთ როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი შიმშილისაგან ძუძუგამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა იმედ-დანთებული, რომ რითიმე მიეშველოს სულთმობრძავ ოჯახს“.*

1878 წლის სექტემბრიდან აჭარაში დაიწყო რუსული მმართველობითი სისტემის დამკვიდრება. *„5 სექტემბრიდან ბათუმი თავისი ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს. გუშინ საბოლოოდ დასრულდა ბათუმის ოლქის რუსეთის მფლობელობაში გადასვლა. მთელი მხარის მოსახლეობამ ნებაყოფილობით გამოაცხადა რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულება. ჩვენ განსაკუთრებით ავღნიშნავთ ამ*

გაგრძელება მე-6 გვ.▶

ეპეკი

გურამ ქართველიშვილი

,,არცა სამეფოსა შინა მისსა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა დიდთა თუ მცირეთა და მათი საქმე ქმნილი კეთილი თუ სიტყუა ბოროტი თქმული არარა დაეფარვოდა მას. რაოდენიცა ვის ფარულად ექმნეს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მეფისა. თვით გულის სიტყუანიცა მათი.“

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

პირველად მიდიოდა ომში, ომის ხელობაზე აღზრდილი აზნაურის შვილი, თედო სამძივარი. შარშან შეუსრულდა ჩვიდმეტი და ბიძა-სახლიკაცებმა შინ აღარ დატოვეს. არადა, ამბავი მოვიდა, მტრის სათვალავს ზღვარი არ აქვსო. სამძივართა გვარიდან სულ ორმოცდაშვიდი მეომარი გადიოდა იმ დღეს ლაშქრად და სოფლის თავს ციხესთან დიდი სამზადისი იდგა. ილესებოდა მახვილები და იჭედებოდა საომარი ბედაურები, რომლებსაც შეჯავშნულად კაზმავდნენ და საიმედო უნაგირებს ადგამდნენ კეხებზე. თედოს თავისი გაზრდილი ,,ვერცხლა“ გამოეყვანა თავლიდან და თვითონვე კაზმავდა. გვარის „თავადი“ თაყა ცხენებს შორის დაიარებოდა, სახლიკაცების მზადყოფნას ამოწმებდა და ბრძანებებს იძლეოდა, – მარქაფი ცხენი არ დავინახო წამოყვანილი! დიდგორი აქვეა და ბევრი ხორაგი არ არის საჭირო ბარგად! თითო აბგა შეჭამადი გვეყოფა თითოს! აი, ღვინოს ვისაც დავუნახავ, ვაი იმის დღესა! როგორც წესია, ისე ვმგზავრობთ, იცოდეთ, – ათეულებად! ომშიც ასევე შევალთ და ყველა ათისთავი ჩემს ბრძანებას შეასრულებს, რადაც არ უნდა დაჯდეს ბრძანების შესრულება, თუ გაჭირდა! არადა, გაჭირდება, იმდენი არიან, თურმე, ეგ გასაწყვეტლები. ნასამხრალს ნიჩბისს უნდა ვეახლოთ მეფეს. დროულად!!!

თაყას შეხურებამ მხედრები ააჩქარა და მალე ორმოცდაექვსი აბჯარასხმული სახლიკაცი ცხენებიანად მის წინ იყო გამწკრივებული ქვეითად. თაყას მეჯინიბემ მოართვა ცხენი, მერე ყველანი ამხედრდნენ და გვარის ,,თავადის“ ბრძანებისამებრ, ერთიანად მოწყვიტეს ადგილიდან ბედაურები. მწკრივად გაჭენდნენ სამძივარები და დავითის ომებში მრავალნაცადებს წესრიგი თავიდანვე დაეტყოთ. ათეულებიდან თითოეულმა იცოდა თავისი ადგილი მწყობრში თუ ბრძოლაში. ნაშუადღევს ქვაბთახევს გვერდი უქციეს და ნიჩბისს მეფისაგან დათქმულ ადგილზე დროზე ადრე მივიდნენ. სავსე იყო ნიჩბისი მხედრებით. საქართველოს ყველა კუთხის მძიმედ შეჭურვილი აზნაურობა იქ იდგა კარვებად, რომლებსაც თანდათან ემატებოდნენ სამეფოს შორი მხარეებიდან მოდენილი სვანი ვარგები თუ აფხაზი აამსთეები, ტაოელი მონაპირე მარზპანები თუ ჰერი აზნაურები. თედოს ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ამდენი მხედარი ერთად სიზმრადაც არ ჰყავდა ნანახი, თანაც მთელი საქართველოდან მოსულები, ყველას თავისი კუთხის მხედრული ომახი რომ მოსდევდა თან. საღამოს სარდლები მოვარდნენ კოცონებად აბრიალებულ ნიჩბისში და ჯარების დაწყობა დაიწყეს რიგის მიხედვით. კარვების აშლის ბრძანება ისმოდა ყველგან და ერთ დიდ მხედრობად შემდგარი გვარეულები მოწესრიგებულად აუყვნენ ერთმანეთზე მიყოლებით ნიჩბისის ვიწრო ხევს დიდგორის ზეგნებისკენ. იდგა რკინის ჟღარუნის და ცხენის ფლოქვების ხმაური. ყველა ათეულში დუმილის ბრძანება იყო გაცემული დემეტრე მეფის ძის მიერ და ვიწრო ხევზე გაჭიმული მხედართა ქარავანი აღმა მიმავალ და რკინად მოჟღარუნე მდუმარე მხედართა მდინარეს ჰგავდა ბინდში. ყველა სარდალი ჩქარობდა, რადგან ამხელა ლაშქარს ვიწრო ნიჩბისის ხევი ძნელად ატარებდა და ამიტომაც ცხენს არავინ ზოგავდა დაკიდებულ აღმართში. სამძივარები ქართლის ლაშქრის დროშის ქვეშ იდგნენ და პირველები ავიდნენ დიდგორის კორტოხზე სხვა გვარებთან ერთად. თედოს, რომელიც უკან მისდევდა სახლიკაცებს, ახლა უფრო უცხო სანახაობა გადაეშალა მაღლობიდან, რადგან ქვევით დამრეც და ხევებად დაღარულ დიდგორზე ასიათასი კოცონი მაინც ბრიალებდა და იქიდან დაფდაფების გუგუნი და მეომართა უცხო საზეიმო ყიჟინა მოისმოდა. – ,,აუ, რამდენი არიან!“ – ჩაილაპარაკა თედომ და მიხვდა, რომ ყველა მხედარი ამასვე ფიქრობდა, რადგან ყველას თვალი მტრის უზარმაზარი ბანაკისკენ იყო მიპყრობილი. მხედრები თანდათან დაქვეითდნენ და ტყეს შეეფარენ, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანდა დიდგორის ნაოჭიანი დამრეცი. სანამ ჯარი დიდგორზე ადიოდა, დავით მეფე სვეტიცხოველში იდგა ლოცვად მთელი ღამე, უთენია კი ცხენს მოახტა და თავისი მარადის მცველთა ლაშქრით დიდგორისკენ გაფრინდა. მეფის პირად მხედრობას იერუსალიმის მეფის ბოლდუინის მიერ საქართველოში ელჩად გამოგზავნილი 100 მძიმედ შეჭურვილი ჯვაროსანიც თან მიჰყვა. ,,პომპეუსის“ ხიდი ჭენებით გადაიარეს და არმაზის კლდოვან კედელს გასწვრივ მიჰყვნენ ჭენებით ნიჩბისისკენ. აგვისტოს დილა ხვატის მოლოდინით აჭყეტდა თვალებს. უკვე მზე იდგა, როცა დავითი დიდგორზე ავიდა. სამეფო კარავი ტყეში გაეშალათ და გარს ორმწკრივად ერტყნენ მეფის ხმალშიშველი ,,მონასპები“. დემეტრე კარვის კართან მიეგება მამას მსტოვართუხუცესის თანხლებით. დავით მეფე ცხენიდან დაქვეითდა და პირდაპირ კარავში შევიდა დამხვედრთა თანხლებით. ნიჩბისის ვიწრო ხევზე, სულ ბოლოს, თხუთმეტი ათასი ყივჩაყი ამოჭენდა და ტყეს შეფარებული მათი მხედრობა მოშორებით დააბანაკეს ქართველი გვარეულებისგან. დუმილის ბრძანება მოიხსნა და მხედრებს ჩურჩულით ლაპარაკის უფლება მისცეს თუ არა, მთელი ღამე მდუმარედ მავალი მხედრობა ერთიანად აჩურჩულდა ურთიერთში დაგროვილი სათქმელით. თედო სამძივარი მცირე ხნით დაეთხოვა გვარის ,,თავად“ თაყას და ტყეში გვარებად დაბანაკებულ და საქართველოს ყველა მხრიდან მოსულ მხედრებს ჩამოუარა. ცნობისწადილით აკვირდებოდა მეგრებს და სვანებს, კახელებს, აფხაზებს და ჯიქებს, მესხებს თუ იმიერტაოელებს. საკმევლის კვამლ-სურნელი ტრიალებდა ყველგან. ბრძოლაში შესასვლელად გამზადებული მხედრები რიგებად ეზიარებოდნენ მღვდლებთან. ომის გზაზე პირველად შემდგარ თედოს არასდროს ენახა ასე ერთად ქართველობა. ერთი რამ კი ეუცნაურა ჭაბუკს - მეფის მანდატურები დარბოდნენ და თითო ტილოგადაფარებულ პატარა ქოთანს დგამდნენ ყველგან. თავის სახლიკაცებთან მიბრუნებულს კი იქაც დახვდა პატარა, ტილო გადაფარებული ქოთანი. თედოს ცნობისწადილი კლავდა თუ რა იყო იმ პატარა ქოთნებში ასე საგანგებოდ რომ დადგეს მანდატურებმა ყველა გვარის ბანაკში და უფროს ძმა ლომკაცას ჩურჩულით ჰკითხა ქოთნებისა. ლომკაცამ მხრები აიჩეჩა: – რა გითხრა აბა, თედო?! ომში დავბერდი კაცი და ეგეთი არაფერი მინახავს. რას გაუგებ დავით მეფეს. მაგისი ბრძანებაა, ალბათ, ეგ ქოთნებიც... საუზმობის ბრძანება გაიცა და ყველა მხედარმა თავის აბგას მოხსნა პირი. მადიანად ილუკმებოდა ტყეს შეფარებული ნამგზავრი მხედრობა. სამეფო კარავში სამნი იყვნენ – დავით მეფე, დემეტრე უფლისწული და მსტოვართუხუცესი, რომელიც გაჩქარებით მოახსენებდა სათქმელს მეფეს: – მანგლისი, თონეთის შეღმართები და ორბეთის გაშლილი ველები სავსეა მტრით, მეფევ ბატონო. აქედან თვალით რასაც ვხედავთ, ეგ ზღვაში წვეთია, იმდენი არიან ეგ გასაწყვეტლები. ჩემი მსტოვრები, თქვენი ბრძანებისამებრ, საზღვრიდან მოსდევენ მათ ყველა მხედრობას და მიახლოებითი სათვალავიც დათვლილია.

– რამდენი იქნებიან სულ შენი ანგარიშით? – მშვიდად იკითხა მეფემ. მსტოვართუხუცესმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს თავში კიდევ ერთხელ გადათვალაო და მეფეს მოახსენა: – სულ სამასი ათასი ხმალი დაითვლება, მეფეო. მეტი წილი სელჩუკია, დანარჩენი სპარსი და არაბი. მეფე წამოდგა, კარვიდან გაიხედა და იკითხა: – სარდლებისას რას მეტყვი ახალს?! – მთავარსარდალი, მოგეხსენებათ, ბაღდადის ამირთა მირა ნეჯმ ად დინ ილღაზია, არდუხის ძე. მისი ბანაკი აქვეა, ყველაზე წინა ხაზზე. თვალით ჩანს აქედან. წუხელ დიდი ზეიმი ჰქონდა ბანაკში, – ჩაიღიმა მსტოვართა უხუცესმა და განაგრძო: – მის ბანაკშივე დგას თავის მხედრობით არაბეთის მეფე და ილღაზისვე სიძე დურბეიზ სადაყას ძე. ილღაზს ორბეთის მხრიდან ზურგს სულთნის ძმა მელიქ თოღრულ მუჰამედის ძე უმაგრებს არანისა და განძაკის მხედრობით. მის მხედრობას ქალაქ განძის ათაბაგი სარდლობს.

– მოიცა, თოღრული ხომ სულთანს აუჯანყდა შარშან და მისი მოწოდებით ეგ აქ არ მოვიდოდა. – ღიმილით თქვა დემეტრემ და მამას შეხედა. დავითმაც ჩაიცინა. – ე, მაგ აჯანყებისას თოღრულს სულთნის წინააღმდეგ თვითონ ილღაზი და მისი სიძე, არაბთა მეფე დურბეიზი ეხმარებოდნენ და უფრო მათი ხათრით არის აქ მოსული ეგ ლაწირაკი, ვიდრე სულთან მაჰმუდის მოწოდებით, დემეტრე. სხვა კიდე ვინ გაისარჯა ჩვენ მოსათხრელად? – იკითხა მეფემ. მსტოვართა უხუცესმა კეფა მოისრისა და განაგრძო: ,,თონეთის“ მხრიდან ილღაზს ზურგს ბითლისის და არზანის სელჩუკი ამირა თუღან არსლან კუზიანი უმაგრებს მკალივით მრავალი სელჩუკური მხედრობით. აქ არის ასევე სომხეთის ყველა სელჩუკი ამირა თავის მხედრობით. ქალაქ მარანდის ყადი ელმ ად-დინ იბნ ჯაბირი და დიდი ამირა აბუ თამამ იბნ აბდუნა არზრუმში შეკრებილან მხედრობით და მერე, თურმე, ერთმანეთს ისე წაკიდებიან, რომ უკან გაბრუნებულან. მეფემ მაღალი ხმით გაიცინა: – რა კარგია, როცა ასეთ დღეს ერთ სასიხარულო ამბავს მაინც შეიტყობს კაცი. ძალიან უყოჩაღია სულთან მაჰმუდს. ამათი ერთად შეკრება დიდი საქმეა. – ძალიან გაუჭირდათ, მამავ ბატონო. იქიდან ფრანკი ჯვაროსნები ჭამენ, აქედან ჩვენ ვაწვებით. – ჰო, შვილო, როგორც ჩანს, ჯვაროსნებზე ადრე ჩვენ მოთხრას აპირებენ და ასე თუ მოხდა, მერე ფრანკებსაც ერთიანად გადადენიან ანტიოქიიდან და იერუსალიმიდან ისევ ზღვის გადაღმა. ამან გააერთიანა ეს სვავები ახლა, მაგრამ ერთობა სიმტკიცეს არ ნიშნავს ამხელა ლაშქრისთვის. მათში ბევრი ბზარია და თუ სწორად მივყვებით საქმეს, მაგ ბზარებს საჩვენოდ გამოვიყენებთ, დემეტრე. მეფემ მსტოვართუხუცესი თავის დაქნევით დაითხოვა და შვილთან მარტო დარჩენილმა ომში შესასვლელად იქვე მომზადებული აბჯარი აისხა. დემეტრე ორმოცდაათს მიღწეულ მამას ჯაჭვის გადაცმაში მიეშველა და შეფარვით ჰკითხა: – იმ ქოთნებში რა დევს, მამა, ყველა გვარის ბანაკში რომ ჩამოარიგეს მანდატურებმა? დავითმა ჯერ იყუჩა და მერე შვილს თვალი გაუსწორა: – მაგ ქოთნებში გასამარჯვებელი ხერხი დევს, დემეტრე, რამაც დიდგორი უნდა მოგვაგებინოს. მალე ყველაფერს გაიგებ. კარავთან მეფეს ლაშქრის ამირსპასალარი, სარდლები, ათასის თავები, ასისთავები და გვარის ,,თავადები“ ელოდებოდნენ. დავითმა ისევ გაიხედა კარვიდან, მერე დემეტრე აიყოლია და სარდლებთან გავიდა. ყველა იქ მყოფმა ერთიანად დაუშვა ცალი მუხლი მიწაზე და მეფეს გამარჯვებისა შესძახა. დავითმა სათქმელი დინჯად დაიწყო და თანდათან გაურია ფოლადი ხმაში: – ამირსპასალარმა იცის ყოველი, ვინ, როგორ და სად უნდა დადგეთ თქვენი საბრძოლო ალმებით. გუშინ ერთად დავზვერეთ აქაურობა და ის ჩემი გეგმით იმოქმედებს! დემეტრე ბატონიშვილი დიდგორის მთის გადაღმა დადგება სრულიად ლიხთიმერთა ლაშქრით და ჩემს ნიშანს დაელოდება! სრულიად ამერის ლაშქარმა, მარადის მცველებმა და მონასპამ ჩემი ალმის ქვეშ უნდა მოიყარონ თავი! საბრძოლო ჯვრები უნდა მიუძღოდეს ყოველ ათასეულს! ბრძოლაში ერთმანეთზე ნიშნის მიმცემ მეალმეებად ყოჩაღები დაარჩიეთ! არცერთი შეცდომა!!! დამნაშავეს დედაკაცის

სამოსი ელის! კიდევ ერთხელ შეახსენეთ ეს ყველა მხედარს! ნიჩბისის ხევი, რომლითაც აქ ამოვედით, უკვე ხერგილებითაა გადაკეტილი და ეგ ერთადერთი უკან დასახევი გზაც მოჭრილია. ან შევაკვდებით ჩემი ჩათვლით მტერს, ან გავიმარჯვებთ! შეგვეწევა უფალი! დიდება მის სახელს! ხოლო ჩვენ თუ ღვთის წინაშე პირნათლად მოვიხდით ვალს და თავგადადებით ვიომებთ, არათუ ამ ეშმაკის ურიცხვ მომხვდურებს, არამედ თვით ეშმასაც დავამარცხებთ!!! მეფის სიტყვით ანთებული სარდლობა ცალი მუხლიდან წამოიმართა და მხედრული ყიჟინით ადიდა მეფე, რომელმაც ხელის შემართვით დაადუმა ისინი და განაგრძო: – სარდლებმა სრულ საომარ მზადყოფნაში მოიყვანეთ თქვენი ბრძანების ქვეშ მდგომი ლაშქრები ისე, რომ ჩემი ბრძანების დროს, მხოლოდ ცხენზე შეჯდომისთვის დაკარგონ დრო მხედრებმა! დღეს შეტევაა, რომელიც იქნება ელვისებური და დაუნდობელი, იცოდეთ, წინამავლებად ბრძოლებში ნაცადები დადგნენ გვარებიდან! ახლა ყველა ადგილს დაუბრუნდით და ჩემს ბრძანებას ელოდეთ. ბრძანება, როგორც ყოველთვის, გადაძახილებით გავრცელდება და ამისთვის მაღალი ხმისანი შეარჩიეთ მხედრებიდან მოყვირლებად! ყველანი ადგილებზე! მხოლოდ მეტად ერთგულად ნამსახური ორასი გვარის უფროსი დარჩეს! მცირე რამ სათათბირო მაქვს მათთან. სარდლები ამხედრდნენ და გაჩქარებით გაეცალნენ მეფის კარავს, ორასი მეტად ნამსახური გვარის უფროსი კი მეფესთან შეჯგუფდა – დავითის სიყრმის მეომრები, ჯერ კიდევ ჭაბუკ მეფესთან ერთად რომ დევნიდნენ მტკვარზე და იორზე ჩაბუდებულ სელჩუკებს. ამიტომაც მეფემ ბრძანებითი კილო შეცვალა და ერთად ათას ჭირში გავლილებს გაჩვეული სიმშვიდით მიმართა: – დღეს მანდატურებმა ყველა გვარის ბანაკში თითო ქოთანი დადგეს. ყოველ ქოთანში იმდენი ხის ერთნაირი ჩხირი ყრია, რამდენი მეომარიც ჰყავს დიდგორზე გამოსულ თითო გვარს. თითოეულ ქოთანში ყველა ჩხირი თეთრია, გარდა ერთისა, რომელიც წითლადაა შეღებილი. ახლა თქვენს ბანაკებში დაბრუნდით და მანდატურების თანდასწრებით ყველა გვარიშვილს

→

სათითაოდ ამოაღებინეთ ჩხირები ქოთნებიდან. ვისაც წითელი ჩხირი შეხვდება, აქ გამოცხადდეს სასწრაფოდ ბრძანების მისაღებად. იჩქარეთ გვარეულნო, ორასი მეომარი მჭირდება დროულად! გვარის თავადები ცხენებს მოახტნენ და მანდატურებთან ერთად გაქრნენ. დემეტრემ მამის ამ ბრძანებიდანაც ვერაფერი გაიგო და შეკითხვა შეჰბედა: – ეს წილისყრა რაში დაგჭირდა, მეფეო?! ისეც მოგართმევდნენ გვარები თითო მხედარს. დავითი ამ შეკითხვაზე კარვის კართან გაიყინა და დემეტრეს ზურგშექცეულადვე უპასუხა: – სხვაგვარად როგორ შევარჩიო ორასი მეომარი, რომელსაც თითქმის გარდაუვალ სიკვდილზე გავუშვებ?! ამიტომაც აჯობებს, ქოთნების წილისყრამ გადაწყვიტოს, ვის მოუწევს დღეს ომის გარდამტეხი ბრძანების შესრულება. გვარის თავადებმა მეფის ბრძანება სწრაფად შეასრულეს და დადგმული ქოთნები უცბად დაცარიელდა. სამძივარებიდან წითელი ჩხირი თედოს შეხვდა და ცოტა ხანში ისიც დაჭიმული იდგა ორასეულთან ერთად მეფის კარვის წინ. სამძივარების თავად თაყას, მეფის ომებში რომ იყო დაბერებული, გული ეტკინა, რომ წითელი ჩხირი ბრძოლაში ჯერ გამოუცდელ თედოს ერგო და მეფეს ეახლა. – მიმსახურე, პატრონო! – შეევედრა მხედრული თავდახრით მეფეს თაყა. – ეგ ბალღი სამძივარების წითელი ჩხირი რომ ერგო, ჩემი ერწუხში დაღუპული ძმის შვილიშვილია. ომში ჯერ გამოუცდელია და იქნებ მე შევცვალო, მეფევ ბატონო. მე ჩავდგები მაგ ორასეულში. თედოს, რომელიც იქვე იდგა და დავით მეფის ხილვით იყო მონუსხული, თაყა პაპას ვედრება ესმოდა, გული ეწვოდა სირცხვილისგან – ,,მაშ რისთვის მოგყავდი ომში, პაპა?!“ ფიქრობდა თედო... ბოლოს კი ველარ მოითმინა, მეფის და პაპის წინ მუხლზე დადგა და მტკიცედ ამოყარა სათქმელი: – მეფეო, მაპატიე ეს კადნიერება ჭაბუკს, მაგრამ შენ რომ ახლა პაპას დაუგდო გულის ყური და აქაურობა დამატოვებინო, მერე მთელი ცხოვრება სირცხვილით როგორ ვიცოცხლო?! ვებრალები პაპას, თორე იცის ჩემი ხმლის კაცობა და სიმარდე. ნუ, მეფეო, ნუ დამმარხავ ვაჟკაცს ცოცხლად! მენდე! არ გაგიმტყუნებს იმედს თედო სამძივარი, იცოდე! დავითი ამას არ ელოდა. ჭაბუკის ვედრებამ გული შეუძრა. მერე თავად წამოაყენა მუხლზე მდგარი თედო და თაყას გახედა: – კვიცი გვარზე ხტის, თაყა. განა ამის პაპა არ ამეფარა ერწუხში?! ჩვენც ხომ ასეთები ვიყავით ოდესღაც. დაანებე ვაჟკაცს, ცადოს ბედი! თაყამ თედოს თავისი მიმინოსავით თვალები თვალში გაუყარა, მეფეს თავი დაუკრა, ცხენს მოახტა და გაქუსლა. მეფემ მხედარს თვალი გაყოლა და ორასეულს მოუბრუნდა: – ვინ იცის თქვენს შორის არაბული, ფარსული ან თურქული, მხედრებო? მცოდნე რამდენიმე აზნაური აღმოჩნდა. მეფემ ისინი ცალკე გამოყო და მათ შორის ყველაზე წარმოსადეგი მესხი შეარჩია: – ეს მოყმე გაგიძღვებათ სულ მალე პირდაპირ მტრის წინა ხაზისკენ. აგე, იქ – ხმლით მოუხაზა მტრის სარდლობის ბანაკი დავითმა ორასეულს ხელის გულივით გადაშლილ დიდგორზე – მთავარსარდლის ნეჯმ ად დინ ილღაზის ბანაკია. თქვენ მსუბუქად შეიარაღებულები და ნელი ნაბიჯით უნდა დაეშვათ პირდაპირ იქითკენ. წინამძღოლს ხელში ეკავება ჩემი უსტარი, რომელშიც წერია, რომ მე, მეფე აფხაზთა და ქართველთა დავით, მორჩილებას ვუცხადებ სულთან მაჰმუდს. თქვენ უნდა იყოთ მშვიდები და ღიმილიანები, რათა მტერმა ელჩებად ჩაგთვალოთ და ილღაზის ბანაკამდე მიგიშვათ. განა რა საშიშროებაა ამხელა ურდოსთვის, ორასი მეომარი რომ დაგაბრკოლონ?! თანაც, ილღაზიმ იცის, თითქოს მე დანებებას ვაპირებ. ასეთი ხმები უკვე დიდი ხანია გაავრცელეს ჭორებად მის ბანაკში ჩვენმა მსტოვრებმა. ამიტომ ვფიქრობ, დაუბრკოლებლად მიგიშვებენ მთავარსარდლის ბანაკამდე, როგორც მშვიდობის ელჩებს. ილღაზის ახლა სიზმრადაც ჩემი მორჩილება ესიზმრება და ისეთი ამპარტავანია, რომ ამაში გულითაც უნდა იყოს, წესით, დარწმუნებული. მაგის მიზანი ხომ თბილისში გაბატონება და ჩემი მორჩილებაა. დავითმა მშვიდობის გრაგნილი შერჩეულ წინამძღოლს გადასცა და საბოლოო ბრძანება ისე წარმოთქვა, რომ ის თხოვნას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძანებას: – თქვენ შეუძლებელი უნდა შეძლოთ, ძმებო და შვილებო. სულ მალე ილღაზის ბანაკში მთელი ამ არაბულ-ფარსულ-სელჯუკური ურდოს ყველა სარდალი გამოცხადდება სათათბიროდ. იქვე იქნებიან დიდი ამირები და, ალბათ, თოღრულ მელიქიც, თვითონ სულთნის ძმა. ასე რომ თქვენზეა, გვარისშვილებო... რაც უფრო მეტს ამოჟლეტთ მათგან, მით მალე გავიმარჯვებთ. როგორც კი ელჩად მისულები ხმლებს იშიშვლებთ და სარდლობას დაერევით, მაშინვე დავძრავ მთელ მხედრობას და მოგისწრებთ. დანარჩენი თქვენზეა. ჯერ გაქვთ დრო იმისთვის, რომ მოწესრიგდეთ და მოითათბიროთ იმაზე, თუ ვინ როგორ იმოქმედებთ იმ მძიმე ბრძოლაში, რომელიც სულ მალე მოგელით. დაგეგმეთ და იმოქმედეთ. სიმართლეა ჩვენთან და უფალი არ მიგვატოვებს! მეფემ პირჯვარი გადაიწერა და ორასეულისთვის თითო მოზრდილი ყანწით ღვინის მირთმევა ბრძანა. მერე დიდგორზე მოსული ხუთასი ოსი მხედარი დემეტრეს ჩააბარა და მთის იქით ჩასაფრებულ ლიხთიმერთა ლაშქრის სარდლად გაისტუმრა. დავითი ცოტა ხნით კარავში შებრუნდა,

რაც არ ესხა ტანზე, ის იარაღიც აისხა და ბრძოლის დაწყების წინ ქორივით წაადგა დიდგორს. კარგად ხედავდა თუ როგორ იკრიბებოდნენ სარდლები და ამირები თავთავიანთი მეალმეებით ნეჯმ ად დინ ილღაზის ბანაკში. ქართველთა მხედრობა შეკავებული ვულკანივით ელოდა მეფე დავითის ბრძანებას. მტრის ბანაკში კი იმას არავინ ელოდა, რაც სულ მალე დატრიალდა დიდგორზე. სულთან მაჰმუდის გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალს, ნეჯმ ად დინ ილღაზის, უთენია დიდგორის თავზე ქართველი მხედრების გამოჩენა არ გამოპარვია, მაგრამ რამდენი იყვნენ ისინი, ამის დადგენა მისმა მსტოვრებმა ვერ შესძლეს. ვინც კი გაგზავნა დიდგორის კორტოხს მიღმა ტყის დასაზვერად, უკან აღარავინ დაბრუნდა. არადა, იმ ტყიდან არც ხმა მოისმოდა და არც მხედრები ჩანდნენ ტყის პირებში. გუშინ ღამ მის ბანაკში გადახდილი ზეიმის შემდეგ ილღაზის გუნება წაუხდინა საიდუმლოებით მოცულმა ტყემ, რომელიც პირდაპირ ბანაკის თავზე იყო აგვისტოს ზაფხულად ახუჭუჭებული და შიგ თვალი ვერ აღწევდა. ვერც იმას უშვებდა მისი გოროზი და ამპარტავანი გონება, რომ აფხაზთა და ქართველთა მეფე ბრძოლას მიიღებდა, ან თავს დაესხმოდა მანგლისიდან ორბეთამდე და დიღმის ხევის ყელამდე გაშლილად განლაგებულ მის ურიცხვ მხედრობას. უძილო იყო ნაზეიმარი ილღაზი, მაგრამ მის კარავთან უკვე თავმოყრილ სარდლებთან და სელჩუკ ამირებთან გასასვლელად ემზადებოდა. ის იყო ცივი წყლით კიდევ ერთხელ გაიგრილა თავ-კისერი, რომ, მოულოდნელად, კარავში სახე გაბადრული ,,ქეშიკი“ შემოიძურწა და ყურთან წასჩურჩულა: – ჩვენს ბანაკს ორასიოდე გურჯი მხედარი უახლოვდება, ემირო. ხელები გაშლილად უჭირავთ. დავით მეფის ელჩობას ჰგავს. ილღაზიმ თავპირი გაჩქარებით გაიმშრალა და კარვიდან გავიდა. ორასი მხედრის დანახვამ ღიმილი მოჰგვარა სარდალს და ელჩებთან შეგებება ბრძანა. მისი კარვის წინ შეკრებილი არაბი, სპარსი და სელჩუკი სარდლები მთავარსარდალს კი მიესალმენ მხედრულად, მაგრამ თვალი ყველას დიდგორის კორტოხიდან ნელი სვლით მომავალ ორასიოდე მხედარზე ჰქონდა მიპყრობილი, რომლებიც დანებების ნიშნად ხელებგაშლად მოდიოდნენ სადავემიგდებული მშვიდი ცხენებით. ტკბებოდა ილღაზი სანახაობით. სულ მალე გურჯისტანი და მისი ამაყი მეფე მის ფეხებთან დადებდნენ მორჩილების შუბლს. ორი წლის წინ ანტიოქიის ფრანგი მთავრის, როჟერის, ბრძოლაში მომკვლელ ილღაზის უფრო დიდი სახელი ელოდა, რადგან ის მხედრები, რომლებსაც ახლა მისთვის დავით მეფის მორჩილება უნდა ეუწყებინათ, ამას ყველა იქ მდგომი დიდი ამირას თუ ამირთ ამირას თვალწინ გააკეთებდნენ. ქართველი ,,ელჩები“ უკვე ახლოს იყვნენ ბანაკთან, როცა მათ ილღაზის ნაზეიმარი ,,საუკეთესოები“ შეეგებნენ და ელჩობა კარგად დაათვალიერეს. მოსულებს მხოლოდ ჯაჭვის პერანგები ეცვათ და სატევარი მხოლოდ წინ მომავალ ოთხ გურჯს ეკიდა წელზე, რომელთაგან უპირველესი მათ არაბულად მიესალმა და მეფე დავითის დაბეჭდილი ,,მორჩილების“ უსტარი უჩვენა. მოსულების მთავარ ბანაკში შეშვების ბრძანება გაიცა და გურჯების ორასეულმა ღიმილიანი სახეებით გააგრძელა მწყობრად სვლა ორად გაყოფილ არაბ მხედრებს შორის, რომლებიც ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ მოცინარ გურჯებს. თედო სამძივარი, ნაძალადევი ღიმილისგან კბილები რომ ჰქონდა დაკრეჭილი, ,,ელჩობის“ წინამძღოლ მესხს მარჯვნივ მისდევდა წინასწარ მოლაპარაკებისამებრ და კარგად ხედავდა ილღაზის მთავარ ბანაკს, რომელსაც ირგვლივ მძიმედ შეჭურვილი მცველები ერტყნენ. მცველებმა გურჯებს ცხენები ჩამოართვეს და სარდლებთან წარსადგომად მხოლოდ ათი ქართველი შეიყვანეს ილღაზის სამყოფელში. დანარჩენები იქვე, სახელდახელოდ გაშლილ ხალიჩებზე დასვეს და მცველებად ათი სელჩუკი მიუჩინეს. ასე მოხვდა თედო იმ წინამავალი ,,ელჩების“ რიცხვში, რომლებიც სარდლების თათბირზე შეუშვეს. მისი თვალები დამხვედრ დიდ ამირებს ათვალიერებდნენ შეფარვით, რომლებიც უიარაღოდ კოტრიალობდნენ ხალიჩებზე და გურჯი ელჩობის დასამცირებლად არც განძრეულან. ილღაზი შუაში იჯდა და ,,ელჩთა" მეთაური მესხის მიერ მირთმეულ გურჯთა მეფის მორჩილების უსტარს კმაყოფილი სახით კითხულობდა. თედომ ისიც გადათვალა, რომ უიარაღო სარდლების ამ თავყრილობას მხოლოდ თხუთმეტი არაბი მეხმლე იცავდა. იქ ყველაფერი სწრაფად მოხდა. ,,ელჩიდან“ მკვლელად ქცეულმა მესხმა სატევარი იძრო და წერილით დამტკბარ ილღაზის თხელი თაჯით დაცულ თავში ჩასცხო. ამ დროს, არაბი მცველები სწრაფად ჩადგნენ ილღაზის და ქართველებს შორის და თავგაპობილი მთავარსარდალი იქაურობას გაარიდეს. გურჯებმა ჯაჭვებში გადამალული დაშნები იშიშვლეს და მოულოდნელობისგან დაბნეულ მცველებს დაერივნენ, რომელთა ხმლებიც მალე გადავიდა მათ ხელში. მესხმა დაიღრიალა და ილღაზის ბანაკს გარეთ ხალიჩაზე ჩამომჯდარი ასოთხმოცდაათი ქართველიც ვეფხვივით დაშნებით ეკვეთა არეულ დაცვას. აზნაურებმა ოციოდ კაცის დანაკარგით იგდეს ხმლები ხელში და იქაურობა სისხლის, გადმონთხეული ტვინის და გვამების გორად აქციეს, მერე თვითონ შემოერტყნენ ილღაზის ბანაკს და უკვე მათზე მოსეულ არაბებს იქამდე აკავებდნენ, სანამ შიგნით შესული ათი აზნაური უიარაღო სარდლებს სათითაოდ გამოსჭრიდა ყელებს. განახევრებული და სისხლში ამოთხვრილი გურჯების ორასეული, რომელმაც მეფის ბრძანება შეასრულა, განწირული იყო და სწორედ ამ დროს შემოვარდნენ მეფის წინამავალი მესხი მხედრები ხოცვა-ჟლეტით არაბთა არეულ რიგებში. სარდლებამოწყვეტილი არაბი და სელჩუკი მეომრები მეთაურთა ბრძანების გარეშე იბრძოდნენ, მაგრამ მოულოდნელობისგან დაბნეულებმა მალევე მოძებნეს ცხენები და თავში მძიმედ დაჭრილი ნეჯმ ედ დინ ილღაზის ამალას აედევნენ, რომელიც სახელდახელოდ თავგადახვეული შემოეჯინათ მცველებს აქლემის ტახტრევანზე და მანგლისისკენ მიაქანებდნენ. თედო სამძივარს ორივე ხელში ხმალი ეჭირა და ცოცხალს არავის უშვებდა, ხოლო როცა ბანაკში უკვე დავითის წინამავალი მესხები შემოჭენდნენ და იქაურობა გადაფქვეს, მხედარმოკლულ ცხენს მოახტა და უკვე ამხედრებულმა განაგრძო ბრძოლა. მალე ილღაზის უსარდლოდ დარჩენილმა მხედრობამ პირი იბრუნა და მანგლისისკენ გაქუსლა, რადგან მთიდან ზვავივით დაშვებულ დემეტრე უფლისწულის ლიხთიმერლების შეტევას ვერ გაუძლო. ამ დროს დავითმა ამირსპასალარი დიღმის ხევის ყელზე აფრინა ყივჩაყების მხედრობით უსარდლოდ დარჩენილი სელჩუკების საჟულეტად, თვითონ კი უკვე გასაქცევად გამზადებულ განძელებს დაეცა ორბეთის გაშლილზე და ამოჟლიტა. დიდგორს ქვევით, თონეთის შეღმართებზე მდგარმა და ასევე სარდლებამოჟლეტილმა სელჩუკებმაც ვერაფერი გაიგეს რა მოხდა, როცა მათ თვალწინ გაიქროლა იმ აქლემმა, რომელზეც თავგასისხლიანებული ილღაზი შემოესვათ მცველებს და არაბი მხედრების ამალით მანგლისისკენ გარბოდნენ. ილღაზის ამალას ფეხდაფეხ მოყვნენ გააფთრებული გურჯები და მათ რიგებს ეკვეთნენ. მცირე ჟლეტის შემდეგ სელჩუკებიც გატყდნენ და ვინ სად გარბოდა აღარავინ იცოდა. მანგლისის მხარეს მიაწყდა გაქცეული მტრის ლაშქარი. ქართველები ფეხდაფეხ მიჰყვნენ მტერს და მანგლისიდან წალკის ზეგანისკენ გადასაკვეთ ალგეთის ხევში სიმრავლისგან შემდორებული სელჩუკები უმოწყალოდ ხოცეს. დაიწყო დევნა და ალაფობა. წალკის მაღლობზე გავაკებულ მტერს, რომელიც უკან მოუხედავად გარბოდა, ქართველები ცხენებიდან ყრიდნენ და ატყვევებდნენ. ალგეთის ტყეებს შეფარებულ და სასწაულად გადარჩენილ მტრის დიდებულებს კი გლეხები იჭერდნენ ჭუკებივით და გაბაწრულებს ყრიდნენ ხაროებში. მტრის დევნა ორი დღე გაგრძელდა. საქართველოდან მხოლოდ სამიათასმა არაბმა მხედარმა გააღწია ცოცხლად, რომლებსაც თან მიჰყავდათ თავში მძიმედ დაჭრილი ამირთ ამირა – ნეჯმ ად დინ ილღაზი.

სამძივარები ხუთი დღის შემდეგ მობრუნდნენ სოფელში და შინ ომში დაღუპული თორმეტი სახლიკაცი მოასვენეს. უცრემლოდ იგლოვა გვარმა ,,ძლევაი საკვირველს“ შეწირული მხედრები, თედო სამძივარს კი, ერთი თვის თავზე, დავით მეფისგან საუკეთესო ხმალი და სასახლეში ნადიმად ხლების პატივი მოუვიდა საჩუქრად.

ინგა ლობჯანიძე

მთისა და ირმის ბალადა...

აცივდა, მთისა შვილები
ბევრი წასულან ბარადა,
მამა-პაპისა სახლ-კარი
მთას დარჩენილა ცალადა.

აღარც სახლს ვინმე მასპინძლობს,
არც სტუმარს ხვდება კარადა,
ჩამქრალა კერას ბუხარი,
გამოკეტილა დარაბა.

მდუმარედ დაკიდებულა
კედელზე მამის ფარაჯა,
საბრალოს ჩრჩილის პეპლები
შემოხვევია ჯარადა.

ქვას ხავსი მოჰკიდებია,
ბილიკ ავსილა ბალახად,
წითელ-ყვითელი ფოთლები
ეზოს დაჰყრია ხალადა.

ციხე-კოშკს ნისლი დაუდის,
მზის სხივ არა სჩანს დარადა,
მაინც ამაყად დამდგარან
ჭირსა შიგ შესაფარადა.

მოუწყენია ერთგულ ძაღლს –
იმედით გასცქერს შარადა,
ყეფით დაურბის ეზო-კარს,
ხვდება, მარტოა დარაჯად.

შეაკრთობს თოფის გრიალი,
ცრემლი ჩამოსდის ღვარადა,
ტყეში ხარ-ირმის ყვირილი
ყურს ხვდება შესაზარადა.

რა ცუდად დაუწერია
ცხოვრებას მისი ბალადა,
დახეტიალობს ბედშავი,
გზად დარჩენილა ცალადა...

მხრები აზიდეთ მთის შვილნო,
არწივის ფრთების დარადა,
შემოუფრინეთ ჭიუხვებს,
სახნისს ჩაუდექთ ხარადა.

ნუ გაიყოლებთ იმქვეყნად,
თქვენს კაცურ საქმეს ვალადა,
მთის შვილსა, მთები უხდება,
რა ბედენაა ბარადა...

თუ გულს არ მიუხარია,
მთას რა წაგიყვანს ძალადა,
გულო, ამღერდი, ამღერდი,
ამ მთების გასახარადა.

ჩემო მესხეთო

მესხეთო, გმირთა ალაგო
თავს რა არ გადაგხდენია,
რამდენი ტანჯვა-ვაების
გამოგივლია დღენია.
რამდენჯერ გამოგიტანეს
ქრისტესი განაჩენია,
გაწამეს, ჯვარზე გაგაკრეს,
გადინეს სისხლის ცრემლია.
ყელს ჩემოგგლიჯეს, მოფანტეს,
მარგალიტები შენია,
კალთას მოგწყვიტეს შვილები,
ზეცას გიცვალეს ფერია...
მაგრამ ვერ მოჰკლეს მავანთა
შენში ქართული გენია,
ვერ ამოძირკვეს ვენახი,
ვერ დასცეს მუხის ხენია.
ვერ დაგიდუმეს ტაძრები,
თუმც ბევრს ეცადა მტერია,
ვერ შეანგრიეს მესხელის
რწმენის კედლების ბჭენია.
ზარზმის ზარების გუგუნი
მომხვდურს გულს ლახვრად სცემია,
ვარძიის, ჭულეს, საფარის,
სამრეკლოს გადასწვდენია.
შენ შვილთა წმინდა სახელი,
ქვებს ხატად შემორჩენია,
გმირთა დედების ცრემლები,
იებს მირონად სდენია.
სამშობლოს ფარად ედექი,
შენს ხმალს არ დაუსვენია,
ვერვინ წაგვართმევს, რაც ოდით
მამა-პაპათგან ჩვენია,
დაჩეხილს, დამწვარს,
დაფერფლილს,
თავი თვით აღგიდგენია.
დღეს ჩემს პატარა სამოთხეს
ვხარობ, რომ მოულხენია,
იხარეთ, ადიგნელებო,
ახარეთ ა დ ი გ ე ნ ი ა!

თიბათვე დადგა

თიბათვე დადგა, გაისმა
მაღალ მთას ცელის შრიალი,
ღიღინებს გლეხი, ბანს აძლევს
მწვანე ბალახი ცვრიანი.
დავხედე, მამისეულ ცელს
ჟანგს დაეფარა ტიალი,
ავლესე გაჯავრებულმა –
დავაწყებინე პრიალი.

დავძახე მამის სიმღერა,
ქართული, ომახიანი,
წამოვანწვინე ლესური
მუხლს ყრიდა თვალცრემლიანი.

განა დაცემას ტიროდა
ვაჟკაცი გულდარდიანი,
არა, ხარობდა რომ მიწას,
წამოწვა იმედიანი.

დამჭიკჭიკებდა ჩიტუნა,
ლამაზი ტკბილი ხმიანი,
თითქოს მადლობას მიხდიდა
დედ-მამის სული მზიანი.

მეც თვალს ცრემლები მომადგა,
თითქოს მომინდა ღრიალი,
ჩამოვჯექ, ჩამოვისვენე,
ფიქრი გავფანტე ტიალი.

ყვავილებს დაფარფატებდა
პეპელა ჭრელი ფრთიანი,
მთის სურნელს დააქროლებდა
დილის საამო ნიავი.

ჭახჭახით გადაიფრინეს,
ჩხართვებმა ველი ტრიალი,
შორიდან სიოს მოჰქონდა
ზარზმის ზარების წკრიალი.

გავხედე გოდერძის ველებს,
გულმა დამიწყო ფრიალი,
ზურმუხტის ქვებით შემკული
ცა იდგა ლურჯი ფიალით.

თითქოს ლოცავდა შემოქმედს,
სასმისი საკმევლიანი,
სიცოცხლის სურნელს აფრქვევდა
ჯადოსნურ ფერთა ციალი.

ამაყად გადმოჰყურებდა,
ლელიანს მთა თოვლიანი,
ჩამოსდიოდა კალთებზე
წყარონი მირონიანი.

ედემად გადაშლილიყო,
ადიგენის მთა ტყიანი,
მართლაც რომ უფალს უხატავს,
მესხეთი, ეს მადლიანი...

არ დაიღალო მესხელო
კურთხეულ მიწის ტრფიალით,
მოეფერე და დალოცე,
სიყვარულისა ფიალით.

ორი მზე

ორი მზე დაბადებულა
ამ ქვეყანასა ზედაო,
რომელი რომელს სჯობია
ვუცქერ და თქმას ვერ ვბედავო.

ერთ ალაგს ვერ დატეულან
სხივებსა ჰფენდნენ ბევრსაო,
ერთი ცად გაბრწყინებულა,
მეორე – ფუძე-ჭერსაო.

ცამ მზეჭაბუკის აკვანი
ლაჟვარდებს გამოჭედაო,
ღამაზი, ლურჯი თვალებით
სახლის მზეს გადმოხედაო.

დედა ნანინას მღეროდა,
შვილს ტკბილად აძინებდაო,
ანგელოზს ფრთა გაეშალა –
ყრმას მძინარს აცინებდაო.

მღვიძარეს ეფერებოდა,
ტაატით ატარებდაო,
დაცემულს გულში იკრავდა, –
ღვთისმშობელს ავედრებდაო:

„ხომ არაფერი იტკინე,
შენ შემოგევლოს დედაო!“
გზა - გზა ყვავილებს უფენდა
გულს ფიანდაზად დებდაო.

მის თვალზე პატარა ცრემლიც
დედის გულს ადარდებდაო,
ხარობდა, როცა მის სახეს
მზის სხივი ანათებდაო.

მასთან თამაშით გართული,
ბავშვივით ტიტინებდაო,
მის ენით ლექსსა ჰყვებოდა,
მასსავით ღიღინებდაო.

მისი ჰაერიც ის იყო,
გულიც მისითა ძგერდაო,
შვილის ნათქვამი „დ ე დ ი კ ო,“
ანგელოზის ხმად ჟღერდაო.

მისი წკრიალა სიცილი
სიცოცხლის წლებსა ჰძენდაო,
მისი ცხოვრებით ცხოვრობდა,
მის ლხენით მოილხენდაო.

მამა - პაპათა ნაკვალევს,
შვილს სანთლით უნათებდაო,
მის იმედსა და დასაყრდენს
გულს რწმენით უკაჟებდაო.

გზაზე მიმავალს გასცქერდა,
პირჯვარს ჩუმადა სწერდაო,
დედის ბაგეთა ლოცვანი,
ღმერთთან ზარებად რეკდაო.

დაჰფოფინებდა ლამაზ შვილს,
სიყვარულს არ აკლებდაო,
ცისარტყელების ლამაზ ფერს
მის გზა - კვალს თავს ავლებდაო...



ცასაც მოუნდა დედობა,
მზე შვილად დაიბედაო,
სამყარო გადაუშალა
ოცნების ნატვრისხედაო...

დედა - შვილობის დიდ მადლსა
უფალი მირონს სცხებდაო,
მისი ძალა და სიწმინდე,
მასაც კი აოცებდაო...

რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი,
იმას ახლაღა ვხედავო,
მზეს სხივი მეტი ჰქონია –
სითბოს მეტს აფრქვევს დედაო.

როგორც კი სხივებს აკრეფენ,
იმწამსვე დაღამდებაო,
სამყაროს ბნელი მოიცავს,
კედლები გაცივდებაო.

ღმერთო, მრავალჟამს ა ბ რ წ ყ ი ნ ე,
ცაზე მ ზ ე, სახლში – დ ე დ ა ო!

დღესაც დაჰკივის ქარიო...

ჯავახეთს, მთათა მწვერვალებს
ეფინა ფიფქთა ჯარიო,
წმინდა ქალწული გამოჩნდა
ხელთ ეპყრა ვაზის ჯვარიო.
ფრთებდახრილს შემოჰხვეოდა
წალმებად ნინოს თმანიო,
ბრწყინავდა უბრალოებით
ქედსა უხრიდნენ მთანიო.
გაოცდა, თოვლსა და ვარდსა
ერთად რომ მოჰკრა თვალიო,
შეიცნო, წმინდა მიწაზე
უფლისა ნატერფალიო.
უცხო ქვეყნისა სიტურფით
მოხიბლულიყო ქალიო,
მოდიოდა და მოსდევდა
ბნელეთის ქარიშხალიო.
მაგრამ ვერასა აკლებდა, –
რწმენის იცავდა ფარიო,
მტკიცედ დაჰქონდა წმინდანსა
უფლის ნაკურთხი ჯვარიო.
შემოიარა მთა - ბარი,
აკურთხა ბოდბეს წყალიო,
ქართველთ გაანდო რწმენითა
ღვთისმშობლის ნაფიქრალიო.
ააწკრიალა სამრეკლოს
უფლის სიტყვისა ზარიო,
ტაძრად დაანთო სანთლები,
ღიად დატოვა კარიო...
სულიწმინდითა აღვსილმა
ნათლად იხადა ვალიო,
აღთქმულ მიწაზე დატოვა
ქრისტიანობის კვალიო...
ჯავახეთს, მთათა მწვერვალებს,
დღესაც დაჰკივის ქარიო,
დღემდე აძრწუნებთ ავსულთა,
წმინდანის ვ ა ზ ი ს ჯ ვ ა რ ი ო!

ქალი ქალიაო...

ქალო, გულმზიანო,
ბაგე ლალიანო,
ტუჩზე ხალიანო,
ზღვისფერ თვალიანო,
ქალო, ბადაგო და
ლერწამ ტანიანო,
დიდის მზის სხივო და
მთვარე ღამიანო.
მარტო არეულო,
ხანაც დარიანო,
ცაზედ ვარსკვლავებიც
შენით ხარიანო.
ქალო, სურნელება დაგაქვს
გაზაფხულის,
იავ, ლურჯთვალა და,
ვარდო ცვარიანო,
დედავ, ძლიერო და,
ფიალ-ხმალიანო,
ღაწვზე ყაყაჩონი
წითლად ჰყვავიანო,
ღმერთმა მოგავლინა
მიწას ანგელოზად,
მარტო ბუმბულების
ფრთები გაკლიანო.
კაცო, ძლიერო და,
სახე შარმიანო,
ქალი ხელისგულზე
უნდა ამზიანო,
ქალი ნაზიაო,
უნდა გაუფრთხილდე,
ნურაფერს ჩაიდენ
მისდა საზიანოს.
თუ მეფობა გინდა,
სხვა გზით არ იარო,
ქალი დედოფლად
უნდა აღიარო,
ორი ბედნიერი,
მოციმციმე თვალი
თვით გაზაფხულზე
ლამაზნი არიანო.
ქალი ყვავილია,
ჭრელი, ათასფერი,
მისი ჩითის კაბა
უნდა აშრიალო,
მისი სიყვარული,
დარშიც და ავდარშიც
როგორც ჯინის ლამპა,
ისე აპრიალო.
მისთვის უნდა აღსდგე
და ისევ დაიფერფლო,
მისთვის გაიღვიძო
დილა ადრიანო,
გრძნობით აკოცო და
ჩუმად ჩასჩურჩულო,
– ძალიან მიყვარხარო,
ჩემო მადლიანო.
ნეკნს ნუ დაამადლი,
გულში ჩაიკარი,
გული დიდი გრძნობით
უნდა აფრიალო,
სიცოცხლე წამიაო,
ჰოდა, მოასწარი,
მისი ოცნებები
მუდამ აფრთიანო.
ქალი გულჩვილია,
ნუ გაუჯავრდები,
მას ხომ ცრემლები
იებად სცვივიანო,
ქალი ყველაფერს
ორმაგად დაგიბრუნებს,
თუ მისი ბაგენი,
არაფერს სჩივიანო.
ქალი მცივანაა,
გულს არ მოშორდება,
თუ იქ სიყვარულის
ცეცხლი ანთიაო,
ჰოდა, მამაკაცო,
კოცონს უდარაჯე,
ფიჩხი დაამატე,
თუკი აკლიაო...
ქალი, ქალიაო,
მზისა დარიაო,
ღმერთმა შენ გაჩუქა,
შენი ცალიაო,
ჰოდა, მოეფერე,
ცამდე ააფრინე,
სანამ ამ ცხოვრებამ
წუთი დალიაო.

ჩემი რაჭა და ჩემი მესხეთი

ორი ლამაზი კუთხის შვილი ვარ,
მესხეთისა და რაჭის ნაჯვარი,
მეამაყება მათი შვილობა,
მეამაყება ტურფა მთა - ბარი.

აქ სამოთხეა ცით ჩამოსული,
სუნთქვას შეგიკრავს თვალით ნანახი,
აღმა მიჰყვება ქვაბლოვან რიონს
ხალებ დაყრილი გიჟი კალმახი.

არწივის ბუდეს მიმსგავსებულა
ლამაზი ღები მთებში ჩადგმული,
კალთებს უმშვენებს გლოლა, ჭიორა,
შოვი, უწერა, ტყეში ჩაწნული.

უფლის შანდლებად მიწას დადგმულან
ბუმბერაზები – მთები ზღაპრული,
თითქოს იცავენ, როგორც ძვირფას
განძს,
ირგვლივ გალავნად შემოსაზღვრულნი.

ო, როგორ მიყვარს ეს უძირო ცა,
არწივის ფრთებით გადაჩრდილული,
ციცაბო კლდეზე საჯიხვეები,
ჭაღარა მთები გადაყინული.

ღვთის სადიდებლად დგას ნიკორწმინდა,
ცოდვილ ფიქრების გულსდამტეველი,
დედაღვთისაზე მადლი იფრქვევა,
რაჭას ედება, ვით საკმეველი.

ვის არ მოხიბლავს ზარზმა, ვარძია,
მეფე თამარის ეს სასწაული,
ცად აზიდული ჭულე, საფარა,
რაბათის ციხის დღესასწაული.

სულ სხვა ფერი აქვს მესხეთის ზეცას,
აქ სხვანაირად ცოცხლდება გული,
მადლობა ჩემო ტკბილო დედ-მამავ,
რომ ჩამინერგეთ ეს სიყვარული.

აქ ვინ დაითვლის წმინდა ალაგებს,
დღემდე მაოცებს მათი წარსული,
ვერაფერს აკლებს მათ სიდიადეს
საუკუნეთა დრო გარდასული.

ყველას, ყველაფერს ეფერებიან,
ხალხი სითბოთი გულმოცვარულნი,
თითქოს რაჭველებს დაულევიათ
ზღვა სიკეთის და ზღვა სიყვარულის.

მიყვარს რაჭა და მიყვარს რაჭული
ცეკვა - სიმღერა, სიტყვა კუთხური,
მიყვარს შქმერის მთის ტკბილი სიმღერა,
„მუხა წონნილებს“ – მესხის სუფრული.

თონუკას თავზე ცხელი პურუკა
დოქით ხვანჭკარა და ზედ შქმერული,
აქ წლის ყველა დრო ჯადოსნურია,
გილამაზდება დღე უფერული.

მიყვარს ბოშუნა, მიყვარს ბიჭუნა,
მიყვარს სუფრუკა მესხურ - რაჭული,
ფეჩუკას თავზე მდგარი ვიჩინა
და „დუხუნკაში“ მცხვარი ბაჭული.

მუდამ სამშობლოს დარაჯად იდგნენ,
ბევრი ვაების უკრეფავთ რთველი,
ბევრი პოეტის მუზა გამხდარან,
მესხეთს უშვია შოთა რუსთველი.

ჩემო წინაპართ საძვლე ალაგო
თქვენს წიაღში მაქვს ფესვი გადგმული,
ვაი, რა ძლიერ მომნატრებია
ჩემი მშობლების ადგილ - მამული.

ჩემი თბილი და ტკბილი მლაშუკა,
ჩემი მესხეთი განახლებული,
გფარავდეთ მუდამ და გეწეოდეთ,
ზეცად უფალი ამაღლებული.

იხარე ჩემო რაჭა - მესხეთო,
მუდამ გიძგერდეთ ქართული გული,
იქ გაიხარეთ, თქვენ რაჭველებო,
სადაც ბედისგან ხართ გადარგული.

მუჰაჯირობა აჭარიდან

◀ დასაწყისი გვ. 1

ფაქტს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას¨ – იუწყებოდა „ობზორი¨.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქში ახალი, რუსული ადმინისტრაციული მმართველობის დროებით წესდებას, რომელიც 14 პუნქტისაგან შედგებოდა. წესდებაში განსაზღვრული იყო ბათუმის ოლქის საზღვრები, მისი სტატუსი კავკასიის მმართველობით სისტემაში, სამხედრო გუბერნატორის, ოკრუგებისა და უბნების უფროსების უფლება-მოვალეობანი და სხვა.

რუსეთის ხელისუფლებამ აჭარა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეები (გურია, სამეგრელო და სხვ.), ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში კი არ შეიყვანა, არამედ ცალკე ოლქად გამოყო, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა კავკასიის მეფისნაცვალს. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი და მიზანიც საქართველოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებისადმი ხელის შეშლა იყო. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ თავის მიზანს მნიშვნელოვანწილად მიაღწია.

რუსული მმართველობის დამყარებით ახალი ერა დაიწყო აჭარის ისტორიაში. უდიდესი ცვლილებები განხორციელდა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. ახალი სახე მიიღო მხარის პოლიტიკურმა ყოფამ. უცვლელი მხოლოდ მისი დანიშნულება დარჩა. როგორც ოსმალთა ბატონობისას, ასევე რუსთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ, აჭარა სასაზღვრო ზონად რჩებოდა. ამიტომ ამ ტერიტორიის მფლობელისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქ დასახლებული ხალხის განწყობას. ოსმალეთის მმართველობასთან შედარებით, რუსეთის უფრო მაღალორგანიზებული ადმინისტრაციისათვის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი გახდა იმპერიის ფარგლებში იმ ხალხის დატოვება, რომელიც, მათი აზრით, შენელებული მოქმედების ნაღმი იქნებოდა. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვებით, – ბათუმის ოლქში მცხოვრები ხალხის მიმართ სანამ არ მოხდებოდა ჩვეული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება, მანამ ამ ტერიტორიის შეძენა გაძლიერების ნაცვლად რუსეთის დასუსტების ტოლფასი იქნებოდა.

ცარიზმის გეგმით ბათუმი მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად უნდა გადაქცეულიყო. ამისათვის მას ყველა მონაცემი გააჩნდა. რუსი ჩინოვნიკები მიუთითებდნენ, რომ *„ბათუმს რუსეთისათვის აქვს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული და არა სავაჭრო მნიშვნელობა. რუსეთის მიერ მისი დაუფლება თურქეთს ართმევს სასაზღვრო ციხესიმაგრეს და საზღვაო სადგომს, სადაც მოწინააღმდეგის სამხედრო ფლოტს მტკიცე ბაზა ჰქონდა ჩვენი სანაპიროების გასაძარცვად... მთელს ანატოლიის სანაპიროზე კონსტანტინეპოლამდე 1000 ვერსის მანძილზე არაფერია მსგავსი ბათუმისა, როგორც გეოგრაფიული, ისე საზღვაო მნიშვნელობით. ყარსის, ოლთისისა და ბათუმის ფლობით რუსეთს გააჩნია მტკიცედ დაცული სამხედრო საზღვარი და არა აქვს არანაირი საჭიროება შეიჭრას თურქეთის პროვინციებში ამიერკავკასიის სამფლობელოების დაცვის მიზნით¨.*

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა რუსეთს, რაც გულისხმობდა იმას, რომ ბათუმი უნდა ყოფილიყო *„უპირატესად კომერციული¨* ქალაქი, ღია ყველა ქვეყნის სავაჭრო ხომალდებისათვის. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, რუსეთის სამხედრო უწყებამ სასწრაფოდ დაიწყო ბათუმში მიხაილოვსკის სიმაგრისა და საარტილერიო მასალების საწყობების მშენებლობა. ბათუმის ნავსადგურის უფროსად დაინიშნა კონტრადმირალი გრევე, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ძლიერების გაზრდისათვის.





გულო კაიკაციშვილი

რუსეთის ხელისუფლებამ იმთავითვე კურსი ახლადშემოერთებული მხარის ფართო კოლონიზაციაზე აიღო. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა აჭარის, განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ნაწილის, შესანიშნავი ბუნებრივი პირობები და მისი შესაძლო პერსპექტივები. ბათუმის მხარე კლიმატური, ბუნებრივი და სასოფლო-სამეურნეო პირობებით განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებიდან. შეიძლება ითქვას, სწორედ მისი ეს თვალშისაცემი თავისებურება გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბათუმის ოლქის არსებობის პირველივე დღიდან აქეთ ისწრაფოდნენ რუსი ადამიანები, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ იმპერიის ევროპული გუბერნიების შედარებით ღარიბი ბუნება. მთავრობის განზრახვის განხორციელებას თავისუფალი მიწის ფონდი სჭირდებოდა: *„უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მაზრებში ამჟამად ადგენენ სიებს იმ ცარიელი ადგილებისა, რომლებიც ხალხის დასასახლებლად გამოდგებოდა. კავკასიის უმაღლესი მთავრობა 400 000 მანეთს თხოულობს ხაზინიდამ იმ განზრახვით, რომ რამდენიმე ათასი რუსი დაიბარონ შუაგულ რუსეთიდამ“.* – წერდა 1881 წელს „დროება“. უფრო მეტი მიწების ხელში ჩაგდების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი გარიგება უძრავ ქონებაზე, ამ ქონებაზე მფლობელობის უფლების განსაზღვრამდე. რაც შეეხება ამ საკითხზე გადაწყვეტილებას, საფუძვლად მთავრობამ ის არგუმენტი დაუდო, რომ ოსმალთა პერიოდში ასეთი სახის გარიგებები ხშირად დარღვევით ხდებოდა. ე.ი. ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოწესრიგება კი არ სცადა, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის მისი გამოყენება. რუსეთის ხელისუფლების, და, შესაბამისად, მისი მოხელეების განზრახვა კარგად ჩანს სვიატოპოლკ-მირსკის 1878 წ. პატაკიდან: *„უპირველესი და ამავე დროს დროებითი მიზანი, ბათუმის ოლქის მშვიდობიანად დაკავება, მიღწეულია. ეხლა უნდა დავიწყოთ ზრუნვა სამომავლო მიზნებისათვის, ანუ მუდმივი მიზნის აღსრულება. ეს უკანასკნელი კი (ასე ვთქვათ, მუდმივი მიზანი), ძირითადად განპირობებულია სამხედრო მოსაზრებით, რომელზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ჩვენი მდგომარეობა მომავალ ომებში. ბათუმის შემოერთებით ჩვენ შევიძინეთ ბუნებრივი სიმაგრე იმპერიის კავკასიის სამფლობელოების ყველა სუსტ კუთხეში. სამწუხაროდ, ეს სიმაგრე დასახლებულია დაუმორჩილებელი და ძალზედ მეომარი ხალხით. გარდა ამისა, ისინი რელიგიურად არიან დაკავშირებული თურქეთთან, რაც მათ უფრო მეტად საშიშს ხდის ჩვენთვის. ამიტომ მათი იმპერიის ფარგლებში, და, მით უმეტეს, საზღვრისპირა ზოლში დატოვება, ყოვლად მიუღებელია. საჭიროა ამ მოსახლეობის ასიმილაცია ან გადასახლება. სანამ ეს არ მოხდება მანამ ჩვენი შენაძენი გაძლიერების ნაცვლად დასუსტების მომტანი იქნება. ასეთ პირობებში ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ბათუმის ოლქში არა დროებითი სიმშვიდის შესანარჩუნებლად, არამედ ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს იმპერიის მდგომარეობას მომავალში. თუ ჩვენ დავინყებთ მხარეში დროებითი სიმშვიდისათვის ანუ დროებითი მიზნისათვის ზრუნვას, მაშინ დავუშვებთ გამოუსწორებელ შეცდომას. რადგანაც ამ დროს მომავალს აწმყოსათვის გავწირავთ, როცა საჭიროება მოითხოვს იმას, რომ ვიმოქმედოთ პირიქით, ე.ი. იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯობს ეხლა გავიღოთ მსხვერპლი, რომ უზრუნველვყოთ მომავალი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია გატარდეს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა შორის უმთავრესი ბათუმის ოლქის მოსახლეობის თავიდან მოცილებაა. მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას გვაძლევს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე მუხლი. მოსახლეობის მიმართ გატარებული უნდა იქნას რაც შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენებაც კი, მათი აბსოლუტურ მორჩილებაში მოყვანის მიზნით. მსგავსი ღონისძიება მოგცემს საშუალებას, გავწმინდოთ მხარე ჩვენთვის მიუღებელი ელემენტებისგან. ასეთი მოქმედების შემდეგ თუ დარჩება ვინმე, ის გაცილებით ნაკლებსაშიში იქნება ჩვენთვის და მაქსიმალურად მორჩილი.“* ხოლო, თუ რა ინტერესები ჰქონდა რუსეთის იმპერიას მთელს კავკასიაში, კარგად ცხადყოფს მეფისნაცვლის სამმართველოს ყოფილი უფროსის, სენატორ ბარონ ა.ნიკოლაის 1883 წელს შედგენილი „ბარათი კავკასიის ცენტრალური მმართველობის რეორგანიზაციის საკითხზე¨. მასში ნათქვამია, *„რომ კავკასია მეტად რთული, მრავალფეროვანია ტერიტორიით და მოსახლეობით. სწორედ ამიტომ მის მმართველობის სისტემაში ყოველი ცვლილების შეტანა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს... სახელმწიფოს ძლიერება და უძლეველობა მოითხოვს განსხვავებული ნაწილების შერწყმას. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნულ-ტომობრივი თავისებურებები არ შეიძლება დიდი ბრძოლის გარეშე წაიშალოს. ამიტომ, როცა მიზნად ვისახავთ განსხვავებული ელემენტების შერწყმა-გაერთიანებას, აღნიშნულ გარემოებას ანგარიში უნდა გავუწიოთ და დროებით დათმობებზე უნდა წავიდეთ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს საბოლოო მიზანი – ჰარმონიული ერთიანობის შექმნა.*

რუსეთს განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულება აქვს სხვადასხვა განაპირა მხარეებთან. დასავლეთის პროვინციებში (პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი) გაერთიანების პრობლემა ეხება ეროვნებებს, რომელნიც განვითარების დონით არ ჩამოუვარდებოდნენ რუსეთს. აზიურ განაპირა მხარეებში კი რუსი ხალხი უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენელია და აქაური ხალხის წარმატება-განვითარება ძირითადად განისაზღვრება რუსეთის სახელმწიფოსთან და რუსეთის კულტურასთან დაახლოებით.

რაც შეეხება კავკასიას, ამ მხარის რუსეთთან შერწყმას წინ უნდა უსწრებდეს თვით მისი გაერთიანება. კავკასია არის ეთნოგრაფიული მოზაიკა, რომლის მსგავსს ასეთ მცირე ტერიტორიაზე სხვაგან ვერსად შეეხვდებით. საჭიროა ტომობრივ განსხვავებათა ნიველირება, ერთსახეობის მიღწევა, რადგან ზემოქმედება უფრო ადვილია ერთიან მთელზე, ვიდრე დანაწევრებულ ელემენტებზე¨.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში რუსი ჩინოვნიკის შეხედულება საერთოდ კავკასიის კოლონიზაციის საკითხში არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის მიზნებისაგან, განსხვავება იმაშია, რომ ა.ნიკოლაი მიზნის მიღწევის უფრო დახვეწილ და ცივილურ მეთოდებს სთავაზობდა ხელისუფლებას.

რუსეთში იყვნენ ძალები, რომლებიც კავკასიის კოლონიზაციის დაჩქარებულ ვარიანტს უჭერდნენ მხარს. მათთვის ხელისუფლების გეგმაზომიერი კოლონიზაციის პროექტი მიუღებელიც იყო. ისინი უარყოფითად აფასებდნენ კავკასიის მთავარსარდლის, გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებას, გაეკონტროლებინათ გადმოსახლებული კონტინგენტი, რომელსაც ნამდვილად ვერ მივიჩნევთ კავკასიელთა, კერძოდ, ქართველთა მხარდამჭერ ნაბიჯად. იმპერიული ზრახვებით შეპყრობილთა ეს „გულისტკივილი“ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ბათუმი და აჭარის ზღვისპირეთი იმთავითვე რუსეთიდან გადმოსახლებულთა აქტიური ობიექტი გახდა. ქალაქი ბათუმი შეუწყვეტლივ ივსებოდა ახალმოსულებით. კავკასიის მმართველობა აჭარაში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების დასახლებასაც ცდილობდა. *„18 თებერვალს კავკასიის მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა შეამონმა დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, ბათუმში არსებული ყაზარმები, რომლებშიც ანატოლიიდან მოსული ბერძნები დროებით ცხოვრობდნენ, სულ 1500 სული, მთავარმართებელი მათ დაპირდა, რომ მთავრობა ადგილ-მამულსა და სახლებს მოგცემთო“* – იუწყებოდა 1882 წელს „დროება“.

ხელისუფლების სურვილს, რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი ჰქონოდათ აჭარაში „ერთგული ელემენტის“ დასასახლებლად, თან ერთვოდა რუსული მმართველობის მანკიერი მხარეები: ჩინოვნიკთა არაკომპეტენტურობა და სიხარბე. ადგილობრივ მოხელეთა უარყოფით როლს ამხელდა და მათ მუჰაჯირობის ხელშეწყობაში ადანაშაულებდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი: *„აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ხალხის გადასახლება თურქეთში. რითი შეიძლება აიხსნას ყოველივე ეს?... მხოლოდ ფანატიზმით ეს მოვლენა არ აიხსნება. რადგანაც იქ, სადაც მთავრობის დამოკიდებულება მოსახლეობისადმი კარგია, ხალხი ადგილზე რჩება... მაშ რაში მდგომარეობს სიბოროტე?... ის სათავეს მხარის მმართველობისათვის მეორეხარისხოვან და საეჭვო წარსულის ჩინოვნიკთა დანიშვნაში იღებს... მათი მთავარი მიზანი არა ხალხის მმართველობაა, არამედ საკუთარი სარგებლისათვის ბრძოლაა...“*

გრიგოლ ორბელიანი შემდეგ მიუთითებდა: აჭარაში მოხელეებად იგზავნებოდნენ *„უცოდინარი და უპრაქტიკო მოხელეები, რომლებიც მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობდნენ“* და *„თანამდებობასაც ბოროტად იყენებდნენ“. ისინი „ყველა საშუალებით წმლაავდნენ მთავრობის კარგ ღონისძიებებს, რის გამოც ბუნებრივად იბადება უკმაყოფილების გრძნობა და უნდობლობა, რომელთა გამომჟღავნება ხდება სახალხო მღელვარებაში“.*

კიდევ უფრო დაუნდობლად ამხელდა ჩინოვნიკთა უმსგავსო საქმიანობას დიდი ილია ჭავჭავაძე: განთავისუფლებისთანავე აჭარას *„კალიასავეთ მიესია, თურმე, ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი და გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... როცა ამათ ამბავს ლაპარაკობენ, თავზედ თმა ყალყზედ დგება... საცა სამსახურიდან გამოგდებული კაცი იყო თურმე, გამოუსადეგარი, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყანაში მოხელეობა მიიღო... არავის ეჭვი არ აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოს, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს“.*

აღსანიშნავია, რომ აჭარაში მოღვაწეობდნენ ისეთი მოხელეებიც, რომელთათვის უმთავრეს მიზანს მკვიდრი მოსახლეობის ბედი და მომავალი წარმოადგენდა: გრიგოლ გურიელი, ზემო აჭარის გამგებელი ნიკოლოზ მეფისაშვილი, პორტის უფროსი გენერალი გრევე, მაგრამ ისინი ძალზე ცოტანი იყვნენ, თანაც ცალკეულ პირთა თუნდაც თავდაუზოგავი და უანგარო მოღვაწეობა, ვერ ცვლიდა იმპერიის პოლიტიკის მთავარ ხაზს, რომლის მიზანი აჭარის სრული კოლონიზაცია იყო.

რუსული წესების ხელაღებით შემოღების მცდელობა, ენობრივი ბარიერი, უხეშობა, მეტად ძაბავდა პოლიტიკურ ვითარებას აჭარაში. „დროება“ ეხებოდა რა ახლად დაბრუნებულ ბათუმში შექმნილ პრობლემებს, წერდა: *„კვირა არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდან*

გაგრძელება გვ.7 ▶

როინ აბუსელიძე

ჩვენებურები

კიდევ ერთხელ მიამბე
გურჯისტანზე ეფენდი,
რატომ მღერის ყარდაში
ცრემლიანად „ჯილველოს?“
გუშინ, შეღამებამდინ,
ჭოროხთან რომ გევედი,
ტაიას ხმა გევგონე,
აგზენ ბავშვებს ჰყიდდნენო.

ყოველ დილით ბაბაი
რატომ გასცქერს ჩრდილოეთს?
რატომ ახლავს ამ სურათს
ნენეს ცრემლი ალალი?
ანდაც ყველა საღამოს,
მაინც, რომც არ გინდოდეს,
„სულიკოს“ რომ მღერობენ,
რატომ მბურძგლავს ბალანი?

გურჯისტანი შორსაა?
იქ რატომ არ ვბრუნდებით?
ფეხით ჩავალთ იქამდის? –
მომიყევი ეფენდი,
რატომ არ დამასწავლი,
ასე რატომ ჩუმდები?
ნეტა გზები ვიცოდე
მარტოც მოვაფერებდი.

დავიბენი ეფენდი,
ვინ ვართ ან ვინ ვიყავით?
მოდი, დღესვე წავიდეთ,
იქნებ კიდევ გველიან,
ბავშვობაში ემიას
გორასთან რომ მივყავდი,
მებნეოდა – გახსოვდეს –
ამის მიღმა ჩვენია...

კიდევ ერთხელ მიამბე,
გურჯისტანზე ეფენდი, –
ისევ იმეორებდა –
ბიჭი ტაო-კლარჯელი
და უსმენდა უსიტყვოდ,
ცრემლიანი თვალებით,
თურქ ეფენდის სამოსში
ოთხმოცი წლის ქართველი!..

რეფორმების დასაწყისი რუსეთის ეკლესიაში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი

(XX საუკუნის დასაწყისი)

გვანცა ბურდული

ისტორიის დოქტორი

რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო პეტრე დიდის (1696-1725) დროს. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. პეტრე დიდმა საფუძველი ჩაუყარა ზესახელმწიფოს, რომლის არსებობის წესად იქცა მეზობელი ერებისა და სახელმწიფოთა მიმართ ექსპანსია როგორც ევროპაში, ისე აზიაში. რუსული ისტორიოგრაფია დღემდე ცდილობს, პეტრე დიდი წარმოადგინოს

ეპისკოპოსი კირიონი (ცენტრში) მღვდელმსახურებთან

რუსეთის სახელმწიფოს, რუსული სამყაროს ევროპეიზაციის იდეოლოგად და პრაქტიკულ განმახორციელებლად. მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად რუსეთი განვითარების ევროპულ გზას არ დასდგომია, რუსეთში არ დამკვიდრებულა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. პეტრე დიდი რუსეთს განაგებდა, როგორც ტიპური აზიელი დესპოტი და დასავლეთ ევროპის მეფეებსა და იმპერატორებზე მეტად, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ირანის შაჰებსა და ოსმალეთის სულთნებს ემსგავსებოდა. ყოველივე ეს ცხადად დადასტურდა პეტრე დიდის დამოკიდებულებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და იმ საეკლესიო რეფორმით, რომელიც რუსეთში 1700-1721 წლებში გატარდა. საეკლესიო რეფორმას, რომელიც პეტრე დიდმა გაატარა, არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. ცხადია, სახელმწიფო რეფორმებს პეტრე დიდი ვერ გაატარებდა ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ იყო, რომ პირველი რიგის ამოცანად იქცა რეფორმა თვით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. საეკლესიო რეფორმა ძალზე გაჭიანურდა, იგი 1700 წლიდან 1721 წლამდე მიმდინარეობდა. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, აღარ უნდა მოენვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში. 1720 წლის 27 თებერვალს პეტრე დიდის წინადადებითა და ინიციატივით შემუშავებული და ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პეტრე დიდის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა უწმიდეს მმართველ სინოდად, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. სინოდის წევრები ფიცს დებდნენ არა ეკლესიის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე, ე. ი. პრაქტიკულად საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) გაუთანაბრეს საერო (სახელმწიფო) მოხელეებს. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრები მღვდელმთავრები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) იყვნენ, მაგრამ ობერ-პროკურორი (თავმჯდომარე) საერო პირი უნდა ყოფილიყო. სინოდის წევრებს და ობერ-პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. იმპერატორის უზენაესი როლი, რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობაში, სავსებით ნათლად იყო გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით. 1832 წელს გამოცემული რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების ორმოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: „იმპერატორი, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე,“ არის ქრისტიანობის, მისი დოგმატებისა და ეკლესიის უზენაესი დამცველი. იმავე მუხლის ძალით იმპერატორი იწოდებოდა „ეკლესიის მეთაურად“. ორმოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორი (თვითმპყრობელი) ეკლესიის მართვას

ახორციელებდა უწმიდესი მმართველი სინოდისა და მისი დაწესებულების მეშვეობით. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტი (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია. რუსეთის საიმპერატორო კარმა, საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი), მიზნად დაისახა ქართველი ერის ასიმილაცია და საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. ყოველივე ამისათვის საკმარისი არ იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის

თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებას. 1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო.

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს რუსეთის ეკლესიის რიგით ეპარქიად გადაქცევა. საქართველოს ეგზარხოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საეკლესიო ცხოვრების რუსიფიკაციას (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულება, წმიდა წერილისა და ლოცვანის რუსულ ენაზე გამოცემა, ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.). მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარმა ვერ შეძლო ეროვნული სულის ჩაკვლა ქართველ სამღვდელოებაში. ამის დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა.

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცემული რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, ქართველმა სამღვდელოებამ თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონივრულად გამოიყენა. დეკანოზებმა კალისტრატე ცინცაძემ და ანტონ თოთიბაძემ, ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ გადაწყვიტეს აღეძრათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სერგი გორგაძეს დაევალა „ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის“, ხოლო კალისტრატე ცინცაძეს კი რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტიციის შედგენა. პეტიციაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1.„ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათოლიკოსატი ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);

2. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურები განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ;

შენიშვნა – *ა) კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლები – კათოლიკოსსა და მღვდელმსახურებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათოლიკოსს – უზენაესი საერო ხელისუფლება.*

შენიშვნა – *ბ) მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე, სასულიერო პირთა კანდიდატურების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ, არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა.*

3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე-კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული“.

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდელოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით კი დევნიდა სამღვდელოების შეკრებებს. 1905 წლის 31 მაისს თბილისში დაარბიეს ქართველი სამღვდელოების ყრილობა. ხელისუფლების ბრძანებით სასულიერო პირებს სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და შენობიდან ძალით გამოდევნეს. ამ მოვლენას ასე აღწერს ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ მასალაში დეკანოზი **დავით ღამბაშიძე:**

„კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, 31 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიასთან მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებლად შემდგარმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი სტახოვიჩი და რომელშიც მონაწილეობას იღებდა თფ. გუბ. თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობების აღმასრულებელი თავ. ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, სამღვდელოების კრების თავმჯდომარე, ბლაღოჩინი ქრ. ციცქიშვილი და საქართველოს ექსარხოსის წარმომადგენელი კოლ. სოვ. ტრელინი, წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება ამ შემთხვევის შესახებ.„

ამ მოხსენებაში კომისია, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ სამღვდელოების კრების 31 მაისის საღამოს სხდომას მიაწყდა მრავალი კერძო საზოგადოება, რომელმაც კრებაზედ დიდი უწესობა და მღელვარება გამოიწვია, რის გამოც კრების თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა სხდომის დახურვა. თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ ერთმა კერძო პირმა, სემინარიაში ნამყოფმა, დააპირა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ დამსწრე სამღვდელოებამ არ მისცა ამის ნება და შეაჩერა. ამ შემთხვევისა გამო გამოწვეულმა ჟრიამულმა მიიქცია ყურადღება და მიიზიდა შენობაში დიდძალი გარეშე ხალხი. პოლიციელმა ტელეფონით აცნობა ეს ამბავი მე-3 ნაწილის ბოქაულს, რომელიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და მამა რექტორის თხოვნის თანახმად მივიდა მის ბინაზედ. აქ ორის მღვდლის თანდასწრებით მ. რექტორმა გამოუცხადა ბოქაულ ნაბიბეკოვს, რომ სხდომაზედ წრეს გადასული ხმაურობაა, მრავალი კერძო კაცი შემოდის და ყველა ეს მეტად მაფიქრებს და მაშინებს, რომ შენობას ან თვითონ მე არაფერი ხიფათი შემემთხვეს, მით უმეტეს, რომ მე გაგებული მაქვს სამღვდელოების მტრული განწყობილება და განზრახვა ჩემდამი, რომ უკვე მომივიდა წერილობითი ცნობები ჩემის მოკვლისა და სემინარიის შენობის აფეთქების შესახებო. ამის გამო მ. რექტორმა სთხოვა ბოქაულ ნაბიბეკოვს, მიეღო შესაფერი ზომები და კერძო პირები დაეთხოვნა სემინარიის შენობიდან. ამ პირთა დათხოვნის შემდეგ ბოქაულმა შენიშნა, რომ ერთი მღვდლის შვილი, ასათიანი, აძლევდა მღვდელს რევოლვერს, რომელიც წაართვა ბოქაულმა და წარუდგინა მ. რექტორს. რექტორმა სთხოვა ნაბიბეკოვს, რომ შენობისათვის თვალყური ედევნებინა და დაეთხოვნა იქიდან სამღვდელოება. ამასობაში სემინარიასა და პუშკინის ბარს შუათავმოყრილ სამღვდელოებისა და კერძო პირთა შორის მღელვარება თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ქარვასლასთან მოკლული იქმნა პოლიციელი. ხმა გავარდა, რომ იგი მოჰკლა მღვდელმა, თუ იმისმა მხლებელმაო. სამღვდელოებასთან კი სულ სხვა ხმა მივიდა: ვითომ სრულიად უმიზეზოდ დაეჭიროს იმათი ერთი თანამოძმე მღვდელი. ამ დროს მოკლული დარაჯიც გამოატარეს, რომ ხალხისთვის გზა დაეცლევინებინათ. ბოქაულმა ნაბიბეკოვმა გამოიწვია ათი ყაზახი, რომელთაც, კომისიის აზრით, „სტრაჟნიკებიც“ შეუერთდნენ და ყველა ესენი შეუდგნენ მათრახებით ხალხის გაფანტვას. რადგან ხალხში მღვდლებიც ერია, ზოგს იმათაც მოხვდა მათრახები.

მოწმეების გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მღვდლებმა თავის დასახსნელად სარდაფებსა, ტრამვაის ვაგონებსა და რესტორნებს შეაფარეს თავი. ზოგი მათგანი ისევ სემინარიაში შებრუნდა, ამათ იქ ხალხი შეჰყვა. ნაცემი მღვდლების ჩვენების ჩამორთმევით აღმოჩნდა, რომ ერთს ლოყაზედ ეტყობოდა მათრახით ნაცემი, მეორეს შლიაპა ქონდა დახეული და ყელზე ჭრილობა მათრახითვე. ზოგს ისე მოხვედროდათ მათრახები, რომ არაფერი ნიშნები არ დასტყობოდათ. ქუჩაში ერთ კაცს ბოქაულმა ორი რევოლვერი და 60 პატრონით სავსე საპატრონე წაართვა. სემინარიის შენობის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 უცხო პირი, რომელთა შორისაც რამდენიმე სემინარიიდან დათხოვნილი აღმოჩნდა. რადგან მ. რექტორი დაჟინებით თხოულობდა, რომ სემინარიიდან უსათუოდ გაეყვანათ ის სამღვდელოებაც-კი, რომელნიც ექსარხოსის ნებართვით ღამე დგომით იყვნენ იქ დაბინავებულნი და სრულებით დაეცალიერებინათ შენობა, ამიტომ ბოქაულმა ღამის 11 საათზედ მიჰმართა პოლიცმეისტერს, რომელიც მოვიდა ადგილობრივ საქმის მოსაწესრიგებლად. შენობაში მოდარაჯეებად ყაზახები ჩააყენეს და იმ ღამემ წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა. ძნელია გამოძიებით ახსნას კაცმა დაწვლილებით იმისთანა შემთხვევა, როგორიც შეხვდა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას თბილისში. მაგრამ რაც აღმოაჩინა გამოძიებამ, ისიც საკმაოა, რომ ჩვენის მხრით გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადოთ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას იმ შეურაცხებისათვის, რომელიც მას მიაყენეს

31 მაისს. როგორც სჩანს, მამა რექტორს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია სემინარიის შენობის დაცვისათვის მით, რომ არ სურდა, მღვდლებს ბინა ქონებოდათ სემინარიაში, თუმცა ექსარხოსიდან ნება ეძლეოდათ, მაგრამ აქ სულ სხვა განზრახვაა... რა დაუშავეთ, მაგ. მის წინა მოადგილეს, რომ 1902 წელს დ. ყვირილაში მძინარ ოჯახობას ჟანდარმები და შეიარაღებული სტრაჟნიკები თავს დაგვასხა და 6 საათის განმავლობაში დაჭერილი ვიყავით მთელი ოჯახობით. ვიჩივლეთ, დაინიშნა ფიცხელი გამოძიება და რა გამოვიდა? გამოძიება თავისთვის გდია და დამნაშავეს კი უმაღლესი ხარისხი მიანიჭეს!.. ჩვენ გვაკვირვებს მამა რექტორის სიტყვა, რომელიც მოხსენებაშია: „სამღვდელოება მტრულად მიყურებს და მოკვლით მემუქრებიანო“ – ბრძანებს მ. ნიკანდრი. ამისთანა პირი დღეს თუ ხვალ ამ სამღვდელოების ეპისკოპოსად უნდა გახდეს... ეს არის მოციქულების და მსოფლიო კრების კანონებისამებრ აღრჩევა საეპისკოპოსოდ იმისთანა პირებისა, რომელსაც სამღვდელოება და საზოგადოება უნდა ირჩევდეს? ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე!..

მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი ჩვენზე დაშორებული იყო, მაგრამ დღეს დაახლოებულია მისი მოადგილის დანიშვნით. მასზეა ჩვენი იმედი, რომ ამიერიდან არ ვიქნებით ისე დაჩაგრული, როგორც დღემდის ვიყავით, განსაკუთრებით სამღვდელოება“.

მიუხედავად რეპრესიებისა, ქართველი სამღვდელოება ვერ დააშინეს. 1905 წლის 18 დეკემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა ქართველი სამღვდელოების კრება. კრებამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გეგმა (პროექტი)“. მიმდინარე რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობა.

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს.

საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ). საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას მოითხოვდა. უწმიდესი სინოდის წევრთა და ეპისკოპოსთა აზრით, უმჯობესი იყო, ეს საკითხები შვიდ ჯგუფად გაეყოთ და საეკლესიო კრებას განსახილველად შვიდი განყოფილება შეექმნა. თათბირის მონაწილეებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ, თუ შვიდიდან რომელ განყოფილებაში სურდათ მუშაობა. სულ საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. როგორც ჩანს, რუსეთის საეკლესიო კრების თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე. საეკლესიო კრების თათბირზე, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა შვიდი განყოფილება. ყოველ მათგანს კონკრეტულ საკითხზე (საკითხებზე) უნდა გამოეთქვა აზრი. ეს საკითხები იყო:

1. რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობა და ცენტრალური საეკლესიო ორგანოები;

2.ეპარქიების რეორგანიზაცია, სამიტროპოლიტოების დაარსება, საქართველოს ეკლესიის მომავალი სტატუსი;

3. საეკლესიო სასამართლო, განქორწინება და შერეული ქორწინება;

4. ეკლესიის სამწყსოები, საეკლესიო (სასულიერო) სასწავლებლები, სამღვდელოების მონაწილეობა არასაეკლესიო მოძრაობაში;

5. საღვთისმეტყველო სწავლება;

6. სტაროვერები;

7. სექტანტები.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, ისევე როგორც 1905 წლის ზაფხულში ჩატარებულმა ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის შედეგებმა, ცხადი გახადა რუსეთის ეკლესიის განახლებისაკენ მისწრაფება. მოთხოვნა სავსებით ნათელი იყო – სინოდალური მმართველობის გაუქმება და საეკლესიო კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოს აღდგენა.

ამასთან, აუცილებლად იქნა მიჩნეული პატრიარქობის აღდგენა. პატრიარქი უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური და საეკლესიო კრების თავმჯდომარე, ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი რჩებოდა, მაგრამ ის აღარ იქნებოდა საეკლესიო ხელისუფლების ორგანო. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება უნდა გადასცემოდა რუსეთის საეკლესიო კრებას. საეკლესიო კრება უნდა მოწვეულიყო რეგულარულად, რომლის დელეგატებიც აირჩეოდნენ ეპარქიების ყრილობებზე. საეკლესიო კრების დელეგატი შეიძლება ერისკაციც ყოფილიყო, მაგრამ გადამწყვეტი ხმა მხოლოდ შავ სამღვდელოებას (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, იღუმენებს და ა. შ.) ექნებოდათ. აუცილებლად იქნა მიჩნეული ეპარქიების მმართველობის რეორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საეკლესიო სასამართლოს, რომელიც პრაქტიკულად XVIII საუკუნის შემდეგ აღარ შეცვლილა. ძირეული ცვლილებები იგეგმებოდა საეკლესიო (სასულიერო) განათლების სისტემაში.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის პირველი განყოფილება ხერსონის არქიეპისკოპოსის დიმიტრის (კოვალნიცკის) თავმჯდომარეობით იხილავდა სამიტროპოლიტოების შექმნის, სამიტროპოლიტოების მართვისა და ეპარქიების რეორგანიზაციის საკითხს. მეორე განყოფილება 14 წევრისაგან შედგებოდა და სხდომებს პირველ განყოფილებასთან ერთად ატარებდა. მესამე განყოფილებამ შეიმუშავა საეკლესიო სასამართლოს გარდაქმნის პროექტი და განსაზღვრა საეკლესიო ქორწინების, ასევე შერეული ქორწინების წესი. განყოფილებამ მხარი დაუჭირა ოთხსაფეხურიანი საეკლესიო სასამართლოს შემოღებას. ეს სასამართლოები იყო:

1) სამწყსოს (ანუ ერთი ეკლესიის სასამართლო);

2) საბლაღოჩინო (ანუ საბლაღოჩინო ოკრუგის სასამართლო, რომელიც რამდენიმე სამწყსოს (ეკლესიის) სასამართლოს წარმოადგენდა);

3)საეპარქიო (ანუ სამიტროპოლიტოს, საარქიეპისკოპოსოს და საეპისკოპოსოს სასამართლო);

4) სინოდალური (ანუ რუსეთის ეკლესიის სასამართლო).

მეოთხე განყოფილება მოგილევის ეპისკოპოს სტეფანეს (არხანგელსკის) თავმჯდომარეობით სამწყსოს პრობლემებით (სამრევლო სკოლები, სამწყსოს ქონება) იყო დაკავებული. განყოფილებას აზრი უნდა გამოეთქვა ეპარქიების ყრილობებსა და საერო დაწესებულებების მუშაობაში სამღვდელოების მონაწილეობის თაობაზე. მეხუთე განყოფილება ფსკოვის ეპისკოპოს არსენის (სტადნიცკის) თავმჯდომარეობით არკვევდა საღვთისმეტყველო სწავლების საკითხს. მეექვსე განყოფილება ვოლინსკის არქიეპისკოპოს ანტონის (ხრაპოვიცკის) თავმჯდომარეობით არკვევდა სტაროვერებთან, ასევე უნიტებთან, კათოლიკეებთან და ლუთერანებთან დამოკიდებულების საკითხს. მეშვიდე განყოფილება, რომელსაც ფინეთის არქიეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი) თავმჯდომარეობდა, სექტანტთა შემოტევისაგან მართლმადიდებლური რწმენის დაცვის საკითხზე მუშაობდა.

საეკლესიო კრების წინარე თათბირის და მისი განყოფილების მუშაობის პერიოდში რუსეთის ყველა სასულიერო აკადემიის სპეციალისტსა და მღვდელს საშუალება მიეცა გასცნობოდა თათბირისა და მისი განყოფილების მონაცემებს, ასევე 1905 წლის ზაფხულში ჩატარებული ეპისკოპოსების გამოკითხვის მასალებს. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში დიდი უთანხმოება გამოიწვია პატრიარქობის აღდგენის საკითხმა. გამოითქვა შიში იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა პატრიარქი რომის პაპის ტიპის ეკლესიის მეთაური გამხდარიყო. პირველი განყოფილების სხდომაზე გადაწყდა, რომ საეკლესიო კრების მოწვევამდე რუსეთის ეკლესიის უპირველესი პირი ატარებდა პეტერბურგის მიტროპოლიტის ტიტულს. რუსეთის ეკლესიის პირველი პატრიარქი კი უნდა არჩეულიყო საეკლესიო კრებაზე.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხსაც. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა) და ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ცნობილმა მეცნიერებმა, ქართველოლოგებმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის საეკლესიო კრების თათბირმა 1906 წლის 15 დეკემბერს მუშაობა დაასრულა.

რუსეთის საეკლესიო კრების თათბირი საქართველოსათვის სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ქართველმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა შეძლეს, დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურობა და სამართლიანობა. თითოეულმა მათგანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ამ საქმეს.

ᲓᲔᲑᲘᲣᲭᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲮᲔᲪᲐᲫᲔ

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ!

ლაჟვარდოვანი ზეცის კიდეზე
სიცოცხლე მეფობს, თუმც დრო გაჩერდა.
საუკუნეებს წინ რომ გაუსწრო –
გალაკტიონის დილა გათენდა.

ზეცას ვარსკვლავი ფარულად მოსწყდა
და ბობოქრობდა ყუმურ-რიონი.
ანგელოზებმა ცას ჩასჩურჩულეს, –
დაბადებულა გალაკტიონი!

გამოიღვიძა ახალმა ერამ,
ისტორიას კი ჯერაც არ ახსოვს.
უკვდავი სულის ქვეყნად ჩასახვით
მარადისობას ლექსებთან აქსოვს.

მზემ გააბრწინა ნოემბრის დილა –
ყველა ქართველის სულის საუფლო,
დიდება მოსავს მის პოეზიას
და უკვდაუბას დროში გაუსწრო.

მან პოეზიას შეასხა ფრთები,
ცხოვრობდა ქვეყნად როგორც ეული.
იცოდა გალამ, რომ იგი იყო
უზენაესი უფლის რჩეული.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐᲐ ᲥᲐᲚᲘ

დედამიწის მშვენებაა ქალი,
ტურფად ქმნილი უკვდავების მსგავსი.
ცად ასული ღვთაება და ჯადო,
ამ ჯადოს რომ გრძნეულიც ვერ ახსნის.

მზის და ვარდის სადარია მართლაც,
უდაბნოში მოვარდნილი წყარო,
ერთი დიდი საიდუმლო ჰქვია,
დღემდე ყველა ამოცნობას ლამობს.

მზის ჩასვლა და მზის ამოსვლა ერთად
ზე ასული ღმერთის მაგვარია.
ქალის მსგავსი არ შექმნილა ჯერაც,
ქალს ხომ თავად უკვდავება ჰქვია.

აი ჩემთვის მზის სხივია ქალი,
ირგვლივ ყველას აცოცხლებს და ათბობს,
განწირულის ლოცვა არის ქალი,
პოეტისთვის შთაგონების წყარო.

ცის ვარსკვლავთა დედოფალი ჰქვია,
მის თვალებში მზე იცინის მარად.
წმინდა სანთლის ღვენთი არის ქალი,
ღმერთის მიერ დაწერილი ხატად.

უხილავი წალკოტია ზეცის,
ქალი არის თვით სიცოცხლის არსი,
და რომელსაც მათ გარეშე ქვეყნად
ეკარგება სამუდამოდ ფასი!

ᲛᲣᲰᲐᲯᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲐᲖᲔ

◀ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲒᲕ. 1,5

სამდურავი და საყვედური არ მოგვივიდეს იქაურს წერილ ჩინოვნიკებზედ, რომელთა მომეტებული ნაწილი სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობას მიიღებდნენ, სამსახურიდამ დათხოვნილი და გამოგდებული ყოფილან სხვადასხვა უკანონო მოქმედებებისათვის ან უნიჭოებისათვის. გარემოება თხოულობს, რომ ახლად შეძენილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახი, მამულის მოყვარე ჩინოვნიკები. ამის გამო ჩვენ მივმართავთ ახალგაზრდა ნასწავლ-განათლებულებს და ვეტყვით მათ: წადით ბათუმში! იმსახურეთ იქ!... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალით შეგვხედვენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებსა და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას. ამგვარი სამსახური ყოველ საქართველოს შვილს მამულის ძვირფას სამსახურად ჩაეთვლება და შთამომავლობა დაჯილდოებს მას“.

ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას უფრო ამძიმებდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ შექმნილი ვითარება, რომლის წყალობითაც აჭარის მოსახლეობა ბათუმს, როგორც ძირითად ეკონომიკურ ცენტრს, ფაქტიურად მოწყდა.

სწორედ რუსული მმართველობის დამყარებით შექმნილი პოლიტიკური ვითარება გახდა აჭარის მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლების, მუჰაჯირობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

სან - სტეფანოს ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთის მიერ რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული ტერიტორიების მოსახლეობას, სამი წლის განმავლობაში, უფლება ეძლეოდა გადასახლებულიყო. წინასწარი დაზავების აღნიშნული პუნქტი ძალაში დატოვა ბერლინის კონგრესმაც. 1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) კონსტანტინეპოლში, რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლი ნებას აძლევდა რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს სამი წლის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება და საცხოვრებლად სასურველ ტერიტორიაზე გადასახლებულიყვნენ. გადასახლების ოფიციალური ვადა 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე განისაზღვრა. თუმცა აჭარა ზოგმა ჯერ კიდევ მაშინ დატოვა, როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა. ფაქტიურად, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება ანუ მუჰაჯირობა ჯერ კიდევ სან-სტეფანოს ზავის გაფორმების შემდეგ დაიწყო, ესე იგი, რეალურად ერთი წლით ადრე, ვიდრე მისი ოფიციალური ვადები განისაზღვრებოდა.

რაში მდგომარეობდა აჭარელთა მუჰაჯირობის მიზეზები?

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ აჭარელთა გადასახლებაში სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებდა (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა), მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმან იქონია, რომ ორივე დიდი სა ხელმწიფო – ძველი და ახალი დამპყრობი, დაინტერესებული იყო აჭარელთა მშობლიური ადგილებიდან აყრითა და ოსმალეთში გადასახლებით, ორივე მათგანი ხვალინდელ დღეზე შიშით შემყურე, მოსახლეობის პროვოცირებას ცდილობდა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, ოსმალეთი აქტიურობდა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებამდე ოსმალეთი, რომლის ზურგს უკან ინგლისი იდგა, აჭარის მოსახლეობას იარაღით ამარაგებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ, როცა ბერლინის ტრაქტატით გადაწყდა აჭარისა და ბათუმის რუსეთისათვის გადაცემა, ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო აჭარის მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლების პროცესი. ვითარება არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც გარკვეული იქნა აჭარისა და ბათუმის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის საკითხი. ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის ძალდატანებით გასახლებისთვის მზადება. ამ მიზნით დერვიშ-ფაშას განკარგულებით, 160 ცხენოსანი მოქმედებდა მხოლოდ ქობულეთში, რომლებიც ცდილობდნენ ძალად გაერეკათ ხალხი ოსმალეთში.

ამის შესახებ ნურიბეგ თავდგირიძეს უცნობებია გრიგოლ გურიელისათვის, და დახმარება უთხოვია. გრიგოლ გურიელსაც საამისოდ სასწრაფო ზომები მიუღია – შეიარაღებული რაზმი გაუგზავნია, რომელმაც ოსმალებს გზა გადაუღობა და გასაგზავნად გამზადებული ხალხი უკან, სახლებში დააბრუნა.

ამ მოვლენაზე ყურადღება რუს მოგზაურებსაც მიუქცევიათ. ა. ფრენკელი, მოგვითხრობს რა ქობულეთელთა გადასახლების შესახებ, წერდა: „ბათუმში ოსმალებმა დაძალებით საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხს მოუყარა თავი, რომელიც თურქეთში გასამგზავრებლად იყო გამზადებული. მათში მიდიოდა ერთგვარი ბრძოლა, რაც სამშობლოს სიყვარულითა და მოლების აგიტაციით იყო გამოწვეული. თუ ისინი დარჩებოდნენ, მაშინ რწმენას უღალატებდნენ, მაგრამ თუ წავიდოდნენ, სამშობლოს დაკარგავდნენ. ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში, სამშობლოს სიყვარული იმარჯვებდა. მიუხედავად ამისა, მრავალი სოფელი ქობულეთში მაინც დაცარიელებული იყო ხალხისგან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ერთი ჯავახური სოფლის

კუკური მეტრეველი

ქვეყანა სოფლითაა ძლიერი. ხალხმრავალი და ძლიერი სოფლები ქვეყნისთვის სიმდიდრეა. სამწუხაროდ, ჩვენი კუთხის ტრაგიკული ისტორიის და რიგი გარემოებების გამო, მრავალი სოფელი დაცლის პირასაა მისული, უფრო მეტი კი დიდი ხანია ნასოფლარებადაა ქცეული. თითოეული სოფელი ცალკეული კუთხის და ქვეყნის კრიალოსანზე ასხმული განუმეორებელი მძივია, რომლის თავგადასავალი საერთო ისტორიის ნაწილია. ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორია განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთშია თვალშისაცემი, სადაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად ხელოვნური მიზეზებით მინიმუმადეა დასული და აქა-იქ მანათობლად შემორჩენილი ქართველებით დასახლებული სოფლები იმედია იმისა, რომ ეს ძირძველი ქართული კუთხე იყო და იქნება მარად საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

რამდენი რამ გადაიტანა ჯავახეთმა, რა გზით არ ეცადა აქაური ხალხი ფიზიკურად თუ სულიერად გადაერჩინა საკუთარი თავი და მშობლიური მიწა-წყალი, მაგრამ ვერაგი მტრებისგან დაუნდობლად თავსმოხვეულ უამრავ განსაცდელს ყველამ ბოლომდე ვერ გაუძლო. ზოგი აიყარა და სხვა შედარებით დაცულ კუთხეებში გადაიხვეწა, ზოგმა სარწმუნოება დათმო იმის იმედით, რომ საკუთარ მიწა-წყალს, ჯიშს და გენს ფიზიკურად მაინც გადაირჩენდა, მაგრამ რუსების შემოსვლის შემდეგ, აქ განვითარებული მოვლენების გამო, მათი უმრავლესობა გამოპაჯირდა და ოსმალეთში გადაიხვეწა, ბევრნი კი შემდგომ შუა აზიის ქვეყნებში იქნენ გასახლებული. ზოგმა გამუსულმანებას და „გათათრებას“ სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა ამჯობინა, ქრისტიანობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ბოლოს მაინც გასომხდა. ზოგმა ევროპელი კათოლიკე მისიონერების მცდელობითაც კათოლიკობა მიიღო, მართალია მთლიანად არა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მაინც გადარჩა, ენა და იდენტობა ბოლომდე შეინარჩუნა. არავის არ ვძრახავთ, ისეთი მკაცრი მრავალმხრივი და სასტიკი იყო მტრებისგან ზეწოლა, რომ ვისაც როგორ შეეძლო ისე მოახერხა ამ აუტანელი სიტუაციიდან გამოსავალის პოვნა. მაგრამ ასეთ პირობებში და გარემოცვაშიც კი სამცხე-ჯავახეთში საბედნიეროდ დღემდე შემორჩა რამდენიმე ძირძველი სოფელი, რომლის მოსახლეობამ გაუძლო ყველანაირ ზეწოლას და საარაკო გმირობის და სიმამაცის ფასად მაინც შეინარჩუნა თავისი ენაც, მამულიც და სარწმუნოებაც.

არ გვინდა სიტუაციის გამუქება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ან როგორ უნდა დამალო. ჯავახეთის სოფლების ტრაგიკული თავგადასავალის უტყუარი დასტურია დღეს აქ შექმნილი რეალური სიტუაცია. სამწუხაროდ, ჯავახეთში გვაქვს ათამდე მჭიდროდ დასახლებული სოფელი, რომლის მოსახლეობის ნაწილი წარმომავლობით ეთნიკურად ქართველია, მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის საქართველოდან სამშობლოს უფრო შუაგულში დაბრუნების შემდეგ, რუსეთის კოლონიალისტური პოლიტიკის და სხვა დაინტერესებული მხარეების დაუფარავი ზეწოლით, მათ მთლად დაკარგეს ეროვნული იდენტობა და ეროვნული სახელმწიფოს პირობებშიც კი, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, უკვე აღარც კი უჩნდებათ ინტერესი დაიბრუნონ თავიანთი დაკარგული ეროვნება. გარდა მაგისა, სამცხე-ჯავახეთის ოთხი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფი ისტორიულ ჯავახეთის ტერიტორიაზე ნაწილობრივ ან მთლიანად ქართველებით დასახლებულ ოცდაათამდე სოფელში მოსახლე ჩვენს თანამემამულეთა ერთ ნაწილს, თავიანთი უშუალო წინაპრების თავს გადახდენილი მეტად ტრაგიკული წარსულის და, მეტწილად, გაუთვითცნობიერებლობით განპირობებული სტერეოტიპების გამოც, თავისი ტომობრივი კუთვნილების ვითომდაც აღრევის შიშით, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობენ ისტორიულ ჯავახეთში, ცოცხალი თავით არ სურთ ჯავახად საკუთარი თავის აღიარება!.. საბედნიეროდ, მტერ-მოყვრის გასაკვირად, როგორც ვთქვით, დღევანდელ ჯავახეთში მაინც შემოგვრჩა ქართველებით დასახლებული ისეთი ძირძველი სოფლები, რომლის ეროვნული ინტერესებისადმი მუდამ ერთგულ მოსახლეობას, თავისი ჯავახობა კი არ ეჩოთირება, არამედ, პირიქით, ეამაყება. აქაურ ნამდვილ ჯავახებს, რომელთაც ოდითგანვე მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულში სიჯიუტით და სიმამაცით ვერავინ სჯობდა, ირგვლივ უამრავი არაქართველებით დასახლებული სოფლების მოსახლეობასთანაც გარკვეული და მოგვარებული აქვთ კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობა, თვალი არსად გასაქცევად არ უჭირავთ და, მიუხედავად პრობლემებისა, ჯიუტად არ აპირებენ მამაპაპათა სისხლით მორწყული მიწა-წყლის მიტოვებას. ჯავახეთის თითზე ჩამოსათვლელი ასეთი სოფლებიდან სწორედ ერთ-ერთია კოთელია.

კოთელია, მთლიანად ქართველებით დასახლებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია ჯავახეთში. ის ტერიტორიულად მდებარეობს ახალქალაქის პლატოზე, ზღვის დონიდან 1680 მეტრზე. ახალქალაქი-ბაკურიანის საავტომობილო გზაზე და მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული.



მურჯის გორა-ნამოსახლარი

სოფელი კოთელია ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა სამხრეთ საქართველოში. ამის დასტურია სოფლის ტერიტორიაზე არსებული უძველესი გორა-ნამოსახლარები, აქ შემთხვევით ნაპოვნი, თუ ოფიციალური გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. სოფელი გაშენებული ყოფილა მაშინ ტბის, ახლა უკვე ნატბეურის დასავლეთ სანაპიროზე. გოდორას გორის აღმოსავლეთ ფერდობზე. „ძირძველი და ფესვმაგარი, ქრისტიანთა ნავთსაყუდელი, ბატონიშვილთა სააგარაკო...“ ასე მოიხსენიებს კოთელიას ვახუშტი ბატონიშვილი.

ტოპონიმ „კოთელიას“ ეტიმოლოგიის თაობაზე წყაროებში არაფერია ცნობილი.

X საუკუნის სომეხი ავტორის უხტანესის თხზულებაში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცული მასალები, მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მაშინდელი კათალიკოსის კირიონ პირველის შესახებ. უხტანესის ცნობით „ის (კირიონი) იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველი, ჯავახეთის გვარიდან, სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება, და ქართველთა და სომეხთა მწიგნობრობა იცოდა“ (უხტანესი 1975, 20-21). მისივე ცნობით, კირიონ სკუტრელი მანამდე ხუთი წელი დვინში იყო ქორეპისკოპოსად, უფრო ადრე კი თხუთმეტი წელი გაატარა ბერძნულ ქალაქ ნიკოპოლისში. დღეისათვის საყოველთაო აღიარებით, ეს სკუტრელი კირიონი, ყოფილა უაღრესად განსწავლული, გონიერი დიპლომატი, იშვიათი პოლემიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ბევრის ვარაუდით, არაა გამორიცხული კიროს ფასისის ეპისკოპოსის (შემდგომში ალექსანდრიის პატრიარქის) და კირიონ სკუტრელის იგივეობა. ფაქტობრივად ის იყო პიროვნება, რომელმაც კატეგორიული პოზიცია დაიჭირა სომხეთ-საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე წარმართვის საკითხში და შემდგომ, თანდათანობით, უზრუნველყო ქართული ეკლესიის საბოლოოდ გამოყოფა სომხური ეკლესიისგან. ამის გამო უხტანესი მას საყვედურობს კიდეც, – „დაღუპაო“ ქვეყანა. სინამდვილეში ამით კირიონმა საქართველო გადაარჩინა იმ ხვედრისაგან, რაც სომხური ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენილ ალბანურ ეკლესიას და ხალხს გადახდა, რითაც საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული ეკლესიის და სახელმწიფოს დასავლური ორიენტაციაც. ამ ყველაფრის თქმა იმისთვის დაგვჭირდა, რომ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ალბათ ამ და კიდევ სხვა ჩვენთვის უცნობ ცნობებზე დაყრდნობით, საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, 2014 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ წერს, რომ ზემოთ ნახსენები ქართლის კათალიკოსი კირიონ I დაბადებული იყო ჯავახეთის სოფელ კოთელიაში და იქვე გვთავაზობს სკუტრი-კოთელიის ტრანსფორმაციის თავისივე ვარიანტს: სკუტრი→კუტარი→კოტელი→კოთელია. მასალების უქონლობის გამო ძნელია ამ ვერსიის დამაჯერებლობაზე მსჯელობა, მითუმეტეს, რომ წიგნზე თანდართული რუკების მიხედვით სოფელი კოთელია ლევკოთიასთანაცაა გაიგივებული, რომლის მდებარეობა რუკაზე არ ემთხვევა დღევანდელი კოთელიის მდებარეობას. თანაც, „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით საკუდრია (სკუტრი) სულ სხვა სოფელია, დლივის მიდამოებში. ასეა თუ ისე, კოთელიის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არც წყაროებში და არც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით მამტკიცებელი საბუთები არ გვაქვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული მოსაზრებებიდან ყველაზე მარტივი და ლირიულია „კოტეს და ლიას მიერ დაარსებული სოფელი“, რომლებიც ზოგს და-ძმათ ჰყავს წარმოდგენილი, ზოგს კიდევ შეყვარებულებად, რაც აშკარად ღიმილის მომგვრელია. ზოგიერთი უფრო გაბედულად ხუმრობს და კოთელიას უცხო სიტყვას „ალიაქოთსაც“ უკავშირებს (ამ მიდამოებში სულ ალიაქოთი იყოო და ამიტომ!..). ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელი კოთელია შეიძლება მომდინარეობდეს „რკონ-თელიანისაგან“. რადგან სოფელი გაშენებული იყო „ტყე-ჯავახეთში“, რომლის ტერიტორია მაშინ შეიძლება მუხნარით და თელიანის ტყით იყო დაფარული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუხის სინონიმად ზოგჯერ რკოც გამოიყენებოდა, თავისუფლად შესაძლებელია, რომ მუხნარით (რკონით) და თელიანით დაფარულ ფერდობს რკონ-თელიანი დარქმეოდა. ასეთი ეტიმოლოგიის (მცენარის სახეობიდან წარმომდგარი) ტოპონიმები უხვად გვაქვს ჯავახეთშიც და მთლიანად საქართველოშიც: სარო, ალავერდი, ლეკნარი, არყნარი, პრტონი, რკონი, იფნიეთი, თელიანი, თელეთი, ნარიანი... ამიტომ, შესაძლებელია კოთელიას თავიდან „რკონ-თელიანი“ დაერქვა. საიდანაც შემდგომ ზოგიერთი ასოს შეკვეცით მივიღეთ: რკონთელიანი→კონთელიანი→კოთელიანი→კოთელია.

სხვა ვერსიაც შეიძლება განვიხილოთ. სოფელ კოთელიას ჩრდილოეთიდან დღემდე ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელიც შარვაშეთის მთებიდან მოედინება. ბავშვებისათვის ზაფხულში ეს მდინარე საუკეთესო საჭყუმპულაო-საბანაო ადგილი იყო. მდინარის სახელიც სწორედ აქედან წარმოსდგება – საბანობელი. საბანობელი, კოთელიასთან თავისივე შექმნილ მცირე ხევში მიედინება, რომელშიც წყლისგან გალეული უამრავი დიდი თუ პატარა ქვის ლოდებია. იქნებ სწორედ ამ გალეულ-დაგლუვებულ ლოდების გამო ეწოდებოდა ამ ადგილს „ქვათა ლია“? საიდანაც შემდეგ მივიღეთ: ქვათალია→ქოთალია→კოთელია.

საბანობლის წყალი სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება და დაახლოებით ერთ კილომეტრში ჭალების შუაგულში ერთვის ე. წ. წყაროს წყალს. წყაროები დიდი წყაროს სათავეა, რომელიც შეიძლება მანამდე აქ არსებული ტბის „ძირიც“ ყოფილიყო. წყაროს წყალი სასმელად არც ისე სასიამოვნო გემოსია, მაგრამ სულ მუდამ სასიამოვნო სანახავი და სიცოცხლის ნიშანსვეტია. წყაროს წყლით მომძლავრებული საბანობელი გველივით დაკლაკნილ მდორე კალაპოტში სამხრეთ-დასავლეთისკენ მიიზლაზნება, ვიდრე კოთელიელების საამაყო დიდწყალს (დიწყალს) არ შეერთვება. წყაროს წყლის კლაკლინებში ულამაზესი ადებია, სადაც მწყემსებს უყვართ შუადღის მწველი მზისგან პირუტყვის შეგრავება, დასვენება და გაგრილება. საბანობელი და წყაროს წყალი მეზობელ სოფელ ბარალეთის ჭალებთან ბუნებრივი საზღვარია. ხოლო დიდი წყლიდან უკვე საზღვარი ბუღაშენთან და ზაკვთან გაივლება.

დიდი წყალი ძირითადად ბოჟანოს და ღრტილას სამეფო წყაროებიდან და შავი კლდე-ჭერულიდან ნამოსული და გზად პატარა-პატარა შენაკადებით ნასაზრდოები მდინარეა, რომელიც კოთელიის ჭალებში დაკლაკნილ კალაპოტში ისე მდორედ მიედინება, რომ ვიდრე სიღრმეს არ გაუსინჯავ, მართლაც ძალიან დიდი მდინარე გეგონება. დიწყლის ნაპირები უწინ მსხვილი და ნაზი კურტნის ჭილებით იყო დაფარული, რის გამოც შიგ უამრავი თევზი ბინადრობდა. დიწყლის კალმახს, მურწას, ლურჯას, კარჩხანას, ნაფოტას, გემოთი თევზი ვერ შეედრებოდა! ბავშვები მოვგლეჯ-მოვაგროვებდით კურტნის ჭილებს, ავკეცავდით, ტივის ფორმას მივცემდით და ერთი სიამოვნება იყო ზედ წამოგორებულების მდინარის დინების მიმართულებით ნება-ნება დაცურება! ჯავახეთის მდინარეებში აგვისტოს 10 რიცხვამდე ჯერ კიდევ შეიძლება ბანაობა. ამის შემდეგ წყალი წყაროსწყალივით ცივდება, ყინულოვანი ხდება და ასეთ ცივ მდინარეში ბანაობა მხოლოდ ერთეულებისათვისაა სიამოვნება. მდინარის ირგვლივ ჭალები ბალახის სიხშირით და ხარისხით ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს ჯავახეთში. აქაურ ჭალებში ბლომად იყო ღალღა, ხოლო ალაგ-ალაგ, დაჭაობებულ ადგილებში, უამრავი იხვი და გარიანი ბუდობდა. ეს ჭალები ჯავახურ სოფლებში მობინადრე ჩაკლაკების გამოკვების და თავშეყრის ძირითადი ადგილებიცაა. ადრე გაზაფხულზე, როცა თოვლი ინტენსიურად დნება, ამ ჭალებში ვრცელი და თხელი პატარ-პატარა „ტბები“ წარმოიქმნება, რომელებიც ნეროების და სხვა იშვიათი გარეული ფრინველების დროებითი გაჩერების ადგილებად გადაიქცევა.

„დიწყალი“ კოთელიის ჭალებიდან ჩაუყვება სოფელ ზაკვს, რომლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრში, კოთელიელებს წყლის წისქვილები ჰქონდათ გამართული. იქ ხორბლის დასაფქვავად და დასანაყად სულ მუდამ რიგები იდგა და ყველა თავის „ნობათს“ ელოდებოდა. ყოველ დღე და ყოველ ღამე იქიდან სოფელში ფქვილით და კორკოტით დატვირთული ურმები ამოდიოდა. სწორედ ამ წისქვილთან არის დაკავშირებული სოფლელებში პოპულარული სახალისო ლექსი:

მეწისქვილედ დაუნიშნავთ,
ახალგაზრდა ბიჭი ბახო,
რა წისქვილი გაუმართავს,
ჩახვიდე და უნდა ნახო...

ზაკვიდან მდინარე სოფელ არაგვას, მერე ორჯუას ჩაივლის და კორხის ქვემოთ ჯავახეთის მტკვარს უერთდება.

კოთელიის ტერიტორია უძველესი დროიდან მოყოლებული გამრჯე და მიწის მოყვარული ქართველების მძლავრი დასახლების კერა ყოფილა. ამის დასტური სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილი რამდენიმე უძველესი ნასოფლარ-ნამოსახლარია. მათგან ყველაზე დიდი და, ალბათ, უძველესი – მურჯებია. გასული საუკუნის 60-იან წლებში აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკა და სამკაულები ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულით თარიღდება. დიდი და პატარა მურჯი მოზრდილი გორებია, სოფელ კოთელიის ჩრდილო-დასავლეთით, ნახევარ კილომეტრში. გორა-ნამოსახლარი ამ ორ მთას შუა სივრცეზე და მათ ფერდობებზე ყოფილა გაშენებული. მურჯის გორა-ნამოსახლარი დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული. გაირჩევა დიდი ლოდებისაგან ნაგები ხაროების, ზეთსახდელის, სასახლეების, ორღობეების კონტურები. დიდი მურჯის სანახევროდ დამუშავებული მოზრდილი ლოდებისგან ნაშენი ციხეკოშკის ნანგრევია, რომელიც დარნების ქსელით ნამოსახლართან და საბანობელთან ყოფილა დაკავშირებული. უხუცესების მტკიცებით, კოთელიის თავდაცვით ქსელთანაც ყოფილა ჩაბმული. პატარა მურჯის თავზე ნაეკლესიარია, ე.წ. მთის ეკლესიის ტიპისა, რომელიც, სავარაუდოდ, წარმართული სალოცავის ადგილზე ყოფილა აშენებული. შუაგულში ასევე სავარაუდოდ შესაწირი ქვის კვარცხლბეკი უნდა იყოს, გვერდზე კი ერთ-ერთ ქვაზე სიცოცხლის ხეა გამოსახული. აქ შეიძლება ადრე წინაქრისტიანული სტელაც ყოფილიყო აღმართული, რომლის არსებობას, თანაც არა ერთის – გვიმტკიცებენ უხუცესები. დღეს ყველა დაკარგულია. ნაეკლესიარის გალავანში თითქმის მთლად დაუმუშავებელი, ბრტყელი ლოდებისგან გაკეთებული მცირე შუალედებით მიჯრით მიწყობილი საფლავის ქვებია. აქვე შემორჩენილია ორი ქვაჯვარის ფუძეც, ერთი მომცრო და მეორე დიდი – ტუფის ქვისგან გამოთლილი, წინ ბოლნური ჯვრის გამოსახულებით. ეს უკანასკნელი გორის ქვემოთ იყო დაგორებული და ადგილობრივებმა გალავანში დავაბრუნეთ. პატარა მურჯის დასავლეთ კალთაზე ქვაყუთები შეიმჩნევა, ცოტა მოშორებით ბოლო წლებში ადგილობრივების მიერ დასამუშავებელი ფართობების გაზრდის მიზნით დახნულ ყანების თავში გამოკარკლულ ქვებში ერთი კოლონის ფუძეცაა, რაც იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ აქ შეიძლება კიდევ ერთი უფრო გვიანდელი ეკლესია ყოფილიყო.

მურჯი უთუოდ უძველესი დროიდან დასახლებული მეგალითური ნამოსახლარია. მისი სახელიც იმ დროიდან უნდა მოდიოდეს. მურჯის ეტიმოლოგიის ფესვები ლაზურ - ჭანურშია საძიებელი. მურჯი არაბულშიც გავრცელე-

თავგადასავალი

ბული სიტყვაა, მაგრამ სოფელს ეს სახელი მათ საქართველოში შემოსვლამდე უნდა რქმეოდა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ეს სახელი ჯავახეთში დიდხანს შემორჩენილ რძალ-მამამთილს შორის ე.წ. „უნძრახის“ ტრადიციას უკავშირდება. მურჯის გარშემო საუკეთესო ნაყოფიერი მიწებია. მთელს ჯავახეთში და საქართველოში ცნობილი ყოფილა ასეთი გამოთქმა: როცა ქვეყანა შიმშილობდა, ქართველები თურმე ერთმანეთს ეტყოდნენო – წადით ჯავახეთში, პური მურჯიკანში თუ არა, მურჯებში მაინც ექნებათო, იქაც, თუ არა – მაშინ სირგოში მაინც ექნებათო (მურჯიკანიც, მურჯიც და სირგოც დაახლოებით ათი კილომეტრის შუალედში მდებარე უძველესი ნამოსახლარებია). სწორედ მურჯებს ქვემოთ ასეთ ნაყოფიერ ყანებში ყოფილა მთელი სოფლის მოსახლეობა სამუშაოდ გაფენილი, როცა ზემოთ სოფელში დარჩენილ ერთადერთ ახალმოყვანილ რძალს ვარდისციხის მხრიდან წამოსული მტრის ლაშქარი შეუმჩნევია. გაოგნებული მივარდნილა ღრმადმოხუცებულ მამამთილთან და ხელფეხის მოძრაობებით უცდია მისთვის მტრის მოახლოების შესახებ აეხსნა, მაგრამ არაფერი გამოსვლია. ამიტომ იძულებული გამხდარა უნძრახის წესი დაერღვია და „მუნჯი“ რძალი ალაპარაკებულა, მამამთილისთვის გულამოსკვნილს აუხსნია საგანგაშო მდგომარეობა. ორივენი თავდაღმა გაქცეულან და ხალხისთვის ეს ამბავი შეუტყობინებიათ. გამოქცეულა ხალხი, მამაკაცებს სასწრაფოდ იარაღი აუსხიათ, მტერს მედგრად დახვედრიან და გაურეკიათ. „მუნჯადყოფილი“ რძლის მოხერხებულობას იმჯერად სოფელი გადაურჩენია. ხალხის რწმენით, ვითომდაც ამ ტრადიციულად „დამუნჯებული“ პატარძლის იძულებით ამეტყველების ამ ამბავის საპატივცემლოდ სოფლისთვის „მუნჯი“ დაურქმევიათ, რომელიც შემდგომ „მურჯად“ გადაქცეულა. ეს სოფელი განადგურებისგან მაშინ კი გადაჩენილა, მაგრამ შემდგომ მრავალჯერ გადამწვარ-გადაბუგული ჩანს. ამის კვალი ნამოსახლარზე დღესაც მრავლადაა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენისას (1595 წელი) მურჯში 10 კომლი ქრისტიანი ქართველი ყოფილა. თუ გავითალისწინებთ, რომ მაშინდელი ოჯახები ჯავახეთში ზოგჯერ 30, 50 და 70 წევრისგანაც შედგებოდა, ათი კომლი ცოტა არაა. ერთგან, კოთელიელების მონათხრობზე დაყრდნობით, ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ 1607 წელს სოფელ მურჯის ლეკების მიერ მთლიანად გაძარცვა-გადანვის და განადგურების შემდეგ გადარჩენილი მოსახლეობა, ქვემოთ, ტბის პირას გაშენებულ სოფელ კოთელიაში ჩასახლებულა. ალბათ, სწორედ იმდროინდელია მურჯის ძმათა სასაფლაო, სწორედ მაშინ იქცა ნასოფლარად ჯავახეთის ეს ერთ-ერთი დიდი და ღონიერი დასახლება. ორ მურჯს შუა მცირე ბორცვია, რომლის თავზე მოსწორებული ლოდებშემორაგული კალოა. აქ, ჩემი ბავშვობის პერიოდში, უამრავი ადამიანის თავის ქალა და ძვლების ნატეხები ამოდიოდა. გადმოცემის თანახმად, ეს ლეკ-თურქების მიერ უმოწყალოდ ამოხოცილი სოფლის მოსახლეობის საძმო სასაფლაოა, რომელშიც მტერს დიდ-პატარა ჩაუყრია და ზედ კალო ულეწია. ასე ამოწყვეტილა ჯავახეთის კიდევ ერთი დიდი და ძლიერი სოფელი. მურჯის თავს გადახდენილი ამ ტრაგიკული ამბავის ეხო ხალხის მეხსიერებაში აქ-იქ დღემდეა შემორჩენილი.

გასული საუკუნის შუა ხანებში შუა აზიაში სამუშაოდ მყოფ ჩვენს თანასოფლელს ბახო (ვახტანგ) საბაშვილს იქ შეხვედრია 1944 წელს გადასახლებული ე.წ „თურქი მესხების“ წარმომადგენელი, გამუსულმანებული ქართველი ქალბატონი, რომელსაც, როდესაც გაუგია ბახო ძიას სადაურობა, მაშინვე დაუწყია მურჯთან დაკავშირებული თავისი წინაპრის თავსგადახდენილი ისტორიის მოყოლა. ვარდიციხის მხრიდან დღისით-მზისით, მოულოდნელად გამოჩენილ ლეკ-თურქების უდიდესი რაზმი ყანებში სამუშაოდ გაფენილ ხალხს თავზე ისე მოულოდნელად წასდგომია, რომ საცოდავებს ბავშვების, ქალების და მოხუცების დარნებში გახიზვნაც კი ვერ მოუსწრიათ. ყველა ერთიანად, დაუნდობლად, ამოუწყვეტიათ. სოფელში ყოფილა ახალდაქორწილებული ერთი წყვილი, რომლებსაც, როგორღაც, მოუსწვრიათ დარანში შემალვა. როცა ყველაფერი მორჩენილა და ნადავლით დატვირთულ მტრის რაზმს აოხრებული სოფლის ტერიტორია დაუტოვებია, თითქოს სიმშვიდეს დაუსადგურებია. დარანში თავშეფარებულ წყვილს დიდხანს ვეღარ მოუთმენია, დარნის კარი გაუღიათ და გარეთ გამოსულან. სოფლის გასასვლელში მტრის საერთო რაზმს ჩამორჩენილი ორი მხედარი დაუნახავთ, რომლებიც-ნეფე პატარძალს თავისიანები ჰგონებიათ, სიფრთხილე არ გამოუჩენიათ. საუბედუროდ ყაჩაღებს, რატომღაც, უკან მოუხედიათ, ახალგაზრდები შეუმჩნევიათ და უკან მობრუნებულან. საწყალ გოგო-ბიჭს ახლა უკვე დამალვა ვეღარ მოუსწვრიათ და ურჯულოებს შეუპყრიათ. ბიჭს წინააღმდეგობა გაუწევია და ადგილზევე მოუკლიათ, გოგო კი ცხენზე შემოუსვიათ და გაუტაციათ. მერე ის ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მონათა ბაზარზე გაუყიდიათ, რომელიც შემდგომ რომელიღაც მუსულმანურ ქვეყანაში აღას ცოლი გამხდარა. მას რამდენიმე შვილი გასჩენია, მათგან პირველი ბიჭი, ქართველი ქმრისგან ყოფილა. როცა ეს ყმაწვილი დავაჟკაცებულა, დედას მისთვის ყველაფერი მოუყოლია და უთქვამს, რომ ის ქართველია და სამშობლოში დაბრუნება ურჩევია. დედას შვილისთვის სამშობლოში დასაბრუნებელი გზაც უსწავლებია, დაულოცია და გამოუსტუმრებია. ყმაწვილი დიდი წვალებით, ჯავახეთში მართლაც დაბრუნებულა, მაგრამ თურქულ ადათებზე გაზრდილ კაცს, საბოლოო საცხოვრებლად მაინც ნაწილობრივ გამუსულმანებული ქართველებით დასახლებულ სოფელ ტოლოშში თუ როკეთში ცხოვრება უმჯობინებია. ამ კაცის შთამომავლები, მათ შორის ამ ამბის მთხრობელი ქალბატონი, 1944 წლის ცნობილი მოვლენის გამო, არც ტოლოშში გაუჩერებიათ და შუა აზიაში გადაუსახლებიათ. სავარაუდოდ, მათი გვარი მელიქიძე ყოფილა. მათი, ისე როგორც ბევრი ჩვენი თანამემამულის შემდგომი ბედი, ჩვენთვის უცნობია.

მურჯიდან იწყება ჩემი სიძველეებით და ჩვენი წარსულისადმი დაინტერესება. დღესაც უსასრულოდ შემიძლია მურჯების ნამოსახლარზე ბორიალი და გარდასულ დღეთა გონებაში გაცოცხლება-გააზრება. ყველაზე მეტად მაინც დარანში ჩასვლა და იქაური ბინდით მოცული იდუმალი სამყარო მაინტერესებდა, რომელიც თითქოს სულ მეძახდა და მელოდებოდა. დარანი ჯავახეთის ყველა ნამოსახლარზეა. გამუდმებული შემოსევებით შეწუხებული ხალხი თავს მიწისქვეშა გვირაბებში და თავშესაფრებში აფარებდა. დარანი სოფლიდან-სოფელში, სოფლიდან – ციხესიმაგრემდე, ციხესიმაგრიდან – მდინარემდე, ეკლესიამდე და თითქმის ყველა სახლამდე მიდიოდა. დარნების უმეტესობა ახლა ჩამოწოლილი და ამოქოლილია. გვხვდება შედარებით შემონახულებიც. მურჯის დარანიც ნაწილობრივ გადარჩენილია, რომელიც ჩასვლა ბოლო წლებამდე შეიძლებოდა. სოფლელებთან ერთად და მარტოც ბევრჯერ ვარ ჩასული, მაგრამ 20-30 მეტრის იქით უკვე ჩამოწოლილი იყო და აღარ ხერხდებოდა გვირაბის სიღმეში შეღწევა და დათვალიერება. დღეს ეს ჩასასვლელი სულაც ჩალამულია. ჩვენი წინა თაობის მონაყოლიდან ვიცით, რომ მაშინ 200-300 მეტრამდე შედიოდნენ და შიგნით სხვადასხვა ზომის სენაკები და გასაჩერებელი ადგილები ხვდებოდათ. ერთ-ერთ მათგანში თაროებზე შემოლაგებული თიხის და ფახირის (სპილენძი) ჭურჭელიც ყოფილა. ზოგიერთები იმასაც გვიმტკიცებენ, რომ მურჯის დარნის ერთ-ერთი სენაკის კედელზე ამოკაწრულ რამდენიმე გვარს შორის ჯუღაშვილის გვარიც იყოო. სტალინის თაყვანისმცემელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ სამცხე–ჯავახეთის ისტორიის უბადლო მკვლევარი, თავადაც ჯავახელი პროფ. შოთა ლომსაძე პირად საუბრებში ამტკიცებდა, რომ სტალინს ფესვები კოთელიიდან ჰქონდა. სტალინის ბიოგრაფიაში მართლაც წერია, რომ მამამისი ლილოელი ყმის შვილი იყოო. ლილოში კი ჯუღაშვილები 1811 წელს რუსების მიერ კოთელიიდან გადასახლებულ ოჯახებთან ერთად მოხვედრილან.

კოთელიის შუა უბანი

სოფელ კოთელიის ჩრდილოეთით, დღევანდელი ყველ-ერბოს ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელი ქართაშენი ყოფილა, რომლის მოსახლეობაც XIX საუკუნის ბოლოსათვის კოთელიის მოსახლეობაში გარეულა. ქართაშენის ნასოფლარი დღეს თითქმის აღარც კი ეტყობა. კოთელიის სამხრეთით კიდევ ორი ნასოფლარია – დაკიდულა და ბატიეთი. დაკიდულა უშუალოდ სოფელ კოთელიის საზღვრებშია. ბატიეთი დაკიდულას ესაზღვრება. დაკიდულას ნამოსახლარი მდებარეობს კოთელიის სამხრეთით – აღმოსავლეთისკენ დაკიდულ ფერდობზე. ამ ადგილზე მიწის ინტენსიური დამუშავების გამო ძველი ნამოსახლარის კვალი თითქმის წაშლილია. სერის ბოლოში ზოლებად ამავალ კორდებზე (უკვე ესენიც გადახნულია) დამუშავებული ქვებია დაგროვილი. ადრე თავში ნაეკლესიარიც ეტყობოდა. ნამოსახლარის კიდეში ქვაყუთების ტიპის სამარხებია დაფიქსირებული. ბატიეთის ნამოსახლარი, თავის მხრივ, დაკიდულას სამხრეთით მდებარეობს. აქაც, მიწის ინტენსიური დამუშავების გამო, ნამოსახლარის კვალი თითქმის სრულადაა წაშლილი.

სოფელ კოთელიას თავზე აქვს წამომდგარი მცირე გორა, რომელსაც „გოდორას“ ეძახიან. შეიძლება ითქვას, გოდორა კოთელიის წმინდა მთაა. სახელი ამ გორის ისტორიული დანიშნულებიდან მომდინარეობს. გოდორის ზემოდან ისე ხელისგულივით მოჩანს მთელი ახალქალაქის პლატო, რომ საბჭოთა პერიოდში, როცა ამიერკავკასიაში განლაგებული წითელი არმიის ყველაზე დიდი ახალქალაქის სამხედრო ქვედანაყოფის სამხედრო მანევრები ტარდებოდა, მთავარი სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტი სწორედ გოდორას თავზე ეწყობოდა. გოდორას ეს უპირატესობა ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე შეამჩნიეს და იმთავითვე დაიწყეს მისი თავდაცვითი დანიშნულების სისტემაში მოქცევა. როგორც კი შარვაშეთის მხრიდან მტრის გამოჩენის თაობაზე ვარდიციხეზე და საყარაულოზე „სიგნალი“ მოვიდოდა, მაშინვე გოდორაზეც ცეცხლს წაუკიდებდნენ და აღმოსავლეთით შედარებით დაბლა მდებარე სოფლების დასანახავად მის წვეროდან ცეცხლმოკიდებულ გოდრებს დააგორებნენ. სწორედ აქედან მოდის ამ გორის სახელწოდება – „გოდორა“. გოდორაზე მდებარე სოფლის სასაფლაოზე სამარხების გათხრისას, სულ ნაშალი მინა, კერამიკა და საყოფაცხოვრებო ნივთები ამოსდევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ, კოთელიელების დასახლებამდე გაცილებით ადრე, ნამოსახლარი არსებობდა. გოდორას ჩრდილოეთით, ქვის კარიერების გასწვრივ, ქვევრში, ჩასვენებული მოზარდის ჩონჩხი აღმოჩნდა. სავარაუდოდ, აქ ძველი სასაფლაო იქნებოდა.

სოფელი კოთელია ძირძველი ჯავახური სოფელია, რომლის მოსახლეობა ჯავახეთის ტრაგიკული ისტორიის სხვადასხვა პერიოდში თითქმის იცლებოდა, მაგრამ ჯავახეთის სხვა სოფლებიდან მოსული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილი და უკან მობრუნებული მოსახლეობის ხარჯზე კვლავ ივსებოდა და სიცოცხლე და ბრძოლა გრძელდებოდა. სპარსეთის და თურქეთის გამუდმებული შემოსევების, აღვირახსნილი ტყვეთა ვაჭრობის და ლეკიანობის შედეგად XV-XVI საუკუნეებში მთელი ჯავახეთის მსგავსად, სოფელ კოთელიის მოსახლეობაც ისე შემცირებულა, რომ თურქების მიერ ჩატარებული სპეციალური აღწერის მიხედვით, 1595 წლისათვის, ტყე-ჯავახეთის სოფელ კოთელიაში მხოლოდ 3 კომლი (ვარძელა, ბატატა -ძე მისი და ზაქარა გიორგის ძე) ქრისტიანი ქართველიღა ცხოვრობდა. მაგრამ მის მფლობელს თითქმის დაცლილი სოფლის გვარობაზე საკმაოდ დიდი გადასახადი 10000 ახჩა ჰქონდა შეწერილი, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სოფელი არც ისე დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო დაკარიელებული. სავარაუდოდ, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის და მთელს ჯავახეთში გამორჩეული ნაყოფიერი მიწების ხარჯზე კოთელია შედარებით მალე ახერხებდა მოშენებას და მოძლიერებას.

სამწუხაროდ, XVII-XVIII საუკუნეებში სამცხე საათაბაგოში, რომლის შემადგენლობაში ჯავახეთიც შედიოდა, ოსმალების დამკვიდრება საბოლოდ დასრულდა, სამაგიეროდ ქვეყანა თავისებურად დასტაბილურდა და შეწყდა ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს სხვა რეგიონებში გადინება, პირიქითა პროცესებიც კი დაიწყო. დანარჩენ საქართველოში ისე გამწვავდა პატრონყმული ურთიერთობები და სოციალური მდგომარეობა, რომ ბევრი ყმა გლეხი საკუთარი გულქვა ბატონების უღელქვეშ მონურ პირობებში ყოფნას უცხო ქვეყნის შემადგენლობაში მყოფ ჯავახეთში გადახვეწვას და თავიანთ ქრისტიან თანამოძმეებთან დამკვიდრებას ამჯობინებდა. საქართველოს შიდა რეგიონებში გამწარებული ყმები ზოგჯერ კლავდნენ კიდეც გულქვა ბატონებს და ოჯახებიანად ჯავახეთში გარბოდნენ. ასე მომრავლდა ჯავახეთის ბევრი სოფლის მოსახლეობა. ზოგიერთი ნასოფლარიც კი აღსდგა. მართალია არც დაპყრობილი ჯავახეთი იყო მთლად უსაფრთხო და დაცული კუთხე, მაგრამ ურთიერთ თანადგომით ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა მაინც ახერხებდა თავის დაცვას და გადარჩენას. იმ დროს ასეთი ქართველების ჯავახეთში თავშეყრის მთავარ ადგილს კოთელია წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში არა მარტო ყმა-გლეხების, არამედ, ფაქტიურად, ყველა გზააბნეული და ბედის მომლოდინე ნარჩინებული ქართველის ნავსაყუდელადაც იქცა. კოთელიას რამდენჯერმე ესტუმრა და მცირე ხნითაც დარჩა საცხოვრებლად ალექსანდრე ბატონიშვილი – კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე. აქვე აფარებდა თავს ტყვეობიდან თავდახსნილი იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. კოთელიაში ადიოდნენ სხვა წარჩინებულებიც და იძულებით გადახვეწილი პოლიტიკური მოღვაწენი. კოთელიაში ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, აქ იმართებოდა მათი თათბირები და საიდუმლო მოლაპარაკებები. მაშინდელი კოთელია ჯავახეთში ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი დასახლება იყო, რომელიც ადგილობრივი თუ მიზეზთა გამო გადმოხვეწილი ქრისტიანის მთავარი დასაყრდენი გახდა. ეს მაშინ, როცა საკუთრივ ახალქალაქში თითქმის აღარავინ ცხოვრობდა, ხოლო მის ციხეში მხოლოდ თურქების გარნიზონი იდგა.

მეზობელი სოფლებიდან მოგროვილი ჯავახებით და საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმოსული ქართველებით მოშენებულ-მომრავლებული კოთელია (სავარაუდოდ მაშინ სოფელში 250-300 კომლი ცხოვრობდა) თავისი მამაცი და გონიერი მოსახლეობით, ძალით თუ გონიერებით ახერხებდა ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილიყო ადგილობრივი მუსულმანი ბეგების და მოსახლეობის თვალში. ახალქალაქის გამუსულმანებულ ბეგებს (ფალავანდიშვილებს) ისედაც ბოლომდე არ ჰქონდათ დავიწყებული თავისი ქართული წარმომავლობა და სარწმუნოება, ამიტომ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან მაინც ჰქონდათ შედარებით ლოიალური დამოკიდებულება. კოთელიის და კოთელიელების მიმართ განსაკუთრებით კეთილგანწყობით ყველაზე უფრო გოკიელი ბეგები გამოირჩეოდნენ, რომელთაც კოთელიელ უხუცესებთან კარგი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდათ. მიუხედავად ამისა, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისადმი მუდმივი ერთგულების გამო ეს ურთიერთობები კოთელიელებს ბევრჯერ ძალიან უფუჭდებოდათ და ბეწვის ხიდზე უწევდათ გავლა.

1770 წელს, სამცხე-ჯავახეთის სხვა სოფლების მოსახლეობის მსგავსად, კოთელიის მოსახლეობაც, დაუფიქრებლად ჩაეშველა ერეკლე მეფეს და ასპინძის ომის ბრწყინვალედ მოგებაში თავისი მამულიშვილური წვლილი შეიტანა. მაშინ მთელს მესხეთში ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ აწყურის ციხეში გამაგრებული ოსმალების დასახმარებლად და იქ საალყოდ მდგარ ქართულ-რუსულ ჯარზე ფარულად თავდასასხმელად, ახალციხის ფაშას მიერ გამოძახებული ახალქალაქის და ხერთვისის მეციხოვნე ასკერების მალულად წამოსვლის თაობაზე, ერეკლე მეფეს პირველმა სოფელ კოთელიის მკვიდრმა, გამორჩეულად გულადმა მოხუცმა ნიკო ბერიძემ შეატყობინა. გაუგია თუ არა ახალქალაქში ოსმალთა მეციხოვნეების ფაცი-ფუცის ამბავი, შემოხტომია ცხენს და უმოკლესი და სახიფათო ჭერულის, თეთრობის და თისელის მთებით, აწყურში სასწრაფოდ გადასულა. რუსთა ღალატით გაწბილებულ მეფე ერეკლეს თავისი მხედრობით ქართლში გადასვლა ჯავახეთი-თრიალეთის გზით გადაუწყვეტია და აწყურიდან ასპინძისკენ დაძრულა. ერეკლე მეფის ლაშქრისთვის მოკლე და მოხერხებული (ე.წ. როკეტის) გზით მეგზურობა ისევ ნიკო ბერიძეს გაუწევია (ამის თაობაზე ინფორმაცია შეტანილია ავთანდილ ბერიძის რედაქტორობით გამოცემულ ძალიან სრულ კრებულში „სიკვდილის ლხინი ასპინძაში“ გვ.453). მართალია ზემოთ ნახსენები ასკერების რაზმს ქართული ჯარისთვის რამდენიმე ადგილზე ჩასაფრება მაინც მოუხერხებია, მაგრამ პატარა კახის მამაცობით გამხნევებული ქართველები უმალ გონს მოსულან, ათასამდე ოსმალო ჯარისკაცის ცხედარი ბრძოლის ველზე დაუტოვებიათ და ამ რაზმისთვის ფაშას ჯართან გაერთიანების საშუალება არ მიუციათ. სამწუხაროდ, ასპინძის ომის ძლევამოსილად მოგების შემდეგ მეფე ერეკლე იძულებული გახდა და ჯავახეთ-თრიალეთის გზით თბილისში დაბრუნდა, რამდენიმე ჯავახური ოჯახიც თან წაიყოლა. ქართველი მეფისთვის ასე ღიად მხარდაჭერის გამო ადგილობრივ ქართველობას ოსმალო ფაშებთან ურთიერთობა ძალიან დაეძაბათ. ახლა უკვე უფრო მეტად არ ენდობოდნენ და მათზე ოსმალოების მხრიდან რეპრესიები გაათმაგდა. მტერს არც ნიკო ბერიძის გმირობა დარჩენია შეუმჩნეველი, მის

გაგრძელება გვ.12 ▶

„მესხური ფოლკლორის“ წარდგინება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისი დაარსების პირველი დღიდანვე არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიების ავანგარდშია და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იგი გახდა მთავარი საგანმანათლებლო და კულტურული კერა სამცხე-ჯავახეთში. დღეს ხომ მის გარეშე წარმოუდგენელია რეგიონის ცხოვრება. გასული წლის 22 დეკემბერს კი „მესხეთის დედა უნივერსიტეტმა“ კიდევ ერთი დასამახსოვრებელი დღე გვაჩუქა ხალხური ზეპირსიტყვიერების მოყვარულებს.

უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად ამ საინტერესო საღამოზე შეიკრიბნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ეროვნული მუზეუმის, მესხეთის სახელმწიფო თეატრის, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის თანამშრომლები, რეგიონის კულტურისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ადამიანები, პედაგოგები, სტუდენტები, მკითხველები. შეკრების მიზეზი კი „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის წარდგინება იყო.

ღონისძიება გახსნა და უძღვებოდა ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ლალი ბერიძე.** „მესხური ფოლკლორის“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** წიგნის რეცენზენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** პროფესორმა **ნესტან სულავამ, ასოცირებულმა პროფესორებმა ქეთევან გრძელიშვილმა, ციური ლაფაჩმა, ნატო ყრუაშვილმა, გულიკო ბექაურმა, მაია ქუქჩიშვილმა,** უნივერსიტეტის ლექტორმა **ვლადიმერ ზედგინიძემ,** ისტორიკოსმა **ელვარდ ზაზაძემ,** პოეტმა **კობა მოდებაძემ,** ფოლკლორული მასალების შემგროვებლებმა **ელდარ ზაზაძემ, ანტონ ბალახაშვილმა, ირმა მერაბიშვილმა,** უნივერსიტეტის თანამშრომელმა **თეიმურაზ მაღრაძემ,** ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ფილოლოგიის დოქტორმა, ფოლკლორისტმა **მაია ივანიძემ,** რომლებმაც თავიანთ გამოსვლებში სათანადო პატივი მიაგეს წიგნის გამომცემელ-რედაქტორს, ჩვენი კუთხის მოამაგეს **ავთანდილ ბერიძეს.**

ღონისძიების მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტები – **იური ბალახაძე** (პრეზენტაციით – „ხალხური ლექსის ,,მამლი მუხასაოს“ შესახებ`) და **სალომე ხმალაძე** (პრეზენტაციით – ,,ამირანიანის სამცხე-ჯავახური ვარიანტის შესახებ“; პირველკურსელებმა **მარიამ აბრამიშვილმა, გოჰარ კარაპეტიანმა** და **ქრისტინა მასკალსკიმ** წაიკითხეს ლექსები ,,მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომიდან.

წიგნის წარდგინების ბოლოს ავთანდილ ბერიძემ მადლობა გადაუხადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ღონისძიების ორგანიზატორებსა და თითოეულ გამომსვლელს „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის მაღალი შეფასებისა და თბილი სიტყვებისთვის, რაც მის მიმართ გამოხატეს, ასევე დიდი მადლიერება გამოხატა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის **ანტონ ობოლაშვილის,** მხარის გუბერნატორის **ბესიკ მირიანაშვილისა** და რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის მერების მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს წიგნის გამოცემის საქმეში, ასევე მადლიერება გამოხატა რესპუბლიკის ფოლკლორული ცენტრების, მუზეუმების, უნივერსიტეტების და თითოეული აქტივისტის მიმართ წიგნის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის, ურომლისოდაც მისი მომზადება-გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა.

აქვე გთავაზობთ ზოგიერთ ამონარიდს სიტყვაში გამომსვლელებიდან:

ლალი ბერიძე

წიგნი, რომლის პრეზენტაციაც დღეს გვაქვს, მეორე წიგნია იმ დიდი პროექტისა, რომლის იდეის ავტორიც და მთელი ამ უზარმაზარი მასალის შემკრები და გამომცემელ-რედაქტორი, მესხური კულტურის მოამაგე ავთანდილ ბერიძეა. ამ დარბაზში შეკრებილები ხომ მის მიერ წამოწყებული ბევრი სასიკეთო საქმის მოწმენი ვართ.

„მესხური ფოლკლორი“ არა მარტო ჩვენი კუთხის, არამედ მთელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. მან ერთად მოუყარა თავი ჩვენი კუთხის, მესხეთის, კულტურულ მემკვიდრეობაზე მოამაგეთა მიერ (წიგნის წინასიტყვაობაში მათი უმრავლესობის დამსახურებაზე ხაზგასმით არის აღნიშნული) წლების მანძილზე ნალოლიავებელ ფოლკლორულ მასალას და ქართული ფოლკლორისტიკა ამ შენაძენით კიდევ უფრო გაამდიდრა.

წიგნის მოცულობა და შინაარსობრივად მდიდარი ფოლკლორული მასალა შთამბეჭდავია და, ცხადია, ამის შესახებ კიდევ ბევრი ითქმება დღესაც და მომავალშიც. ვფიქრობ, ორივე ტომი და მესამე წიგნიც, რომელიც ფაქტიურად მომზადებულია, დიდად გამოადგებათ მეცნიერებს, ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, პედაგოგებს, სკოლის მოსწავლეებს და ის უამრავი სამეცნიერო კვლევის, პოეზიის საღამოების, განხილვებისა და პრეზენტაციების ინსპირაცია იქნება. მესხეთის თეატრის სცენაზე კი შეიძლება ამ მასალებზე დაყრდნობით მშვენიერი სპექტაკლიც ვიხილოთ.

მაია ივანიძე

ჩემთვის, როგორც მკითხველისა და ფოლკლორისტისთვის, სამაგიდო წიგნად იქცა „მესხური ფოლკლორი“... მასში წარმოდგენილია სხვადასხვა თემატიკის ხალხური ზეპირსიტყვიერების უნიკალური მასალები, კერძოდ, ლეგენდები, თქმულებები, ეპიტაფიები, შაირები, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, ისტორიული, საგმირო, შრომის (გუთნური, ურმული, სამკალი, ვენახის და ა.შ.), საწესჩვეულებო თავისი სახეობით (საშობაო, საახალწლო, სააღდგომო, სასულიერო, სამგლოვიარო), განსაკუთრებით მაჰმადიან მესხთა ფოლკლორი და სხვ. მრავალი საინტერესო მასალა.

საყურადღებოა იმ მთქმელთა და ავტორ-მთქმელთა ვინაობა, რომლებიც დღესაც ეწევიან ხალხური ნიმუშების შექმნასა და გავრცელებას.

მომხსენებლთა გამოსვლებში გაჟღერდა აშუღთა შესახებ ინფორმაცია, აღინიშნა, რომ XVI ს-ში თურქული ტომის შემოსევის შედეგად სამცხე-ჯავახეთი ოსმალეთის ვილაიეთად გადაკეთდა, რამაც გამოიწვია თურქიზმების მომძლავრება მეტყველებაში. დასახელდა ცნობილი აშუღი შივღა (ლუკა ბერიძე), რომელიც ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენიდან იყო. იგი ორენოვანი (თურქული და ქართული) ლექსების შემთხზველი ყოფილა.

სამცხე-ჯავახეთის მრავალრიცხოვან აშუღთა შორის თავისი ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით იგი ყველასაგან გამორჩეული აშუღი იყო. როგორც ცნობილია, არსებული წესის თანახმად, დამარცხებული აშუღი გამარჯვებულს საკრავ ინსტრუმენტს – საზს სახალხოდ გადასცემდა, რაც აშუღისთვის სამარცხვინოდ და დამამცირებლად ითვლებოდა... ხშირად აშუღობა მემკვიდრეობითაც გადაიცემოდა.

საველე მუშაობის დროს, ჩემი მოსწავლეობის პერიოდში, თავადაც ვაგროვებდი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, მართალია, მაშინ არ მესმოდა თუ რა წვლილი შემქონდა მათ მოძიებაში.

მთქმელ ელენე ზედგინიძისგან, რომელიც ჩემი დიდი ბებია იყო (წერა-კითხვის უცოდინარი, 103 წლის), ჩავიწერე ლექსები „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა“ და „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, რომელთა სხვადასხვა ვარიანტიც ასევე შემხვდა ამ უნიკალურ წიგნში, ვფიქრობ, იგი მართლაც დიდი შენაძენია ქართული ფოლკლორისთვის.

ნესტან სულავა

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ქართული ფოლკლორი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა დიალექტზე, აგრეთვე, სვანურ და მეგრულ-ჭანურ ენებზე. ქართლურ, კახურ, ფშავურ, ხევსურულ, თუშურ, ჯავახურ, მესხურ, იმერულ, გურულ, აჭარულ დიალექტებზე შემონახული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ამჟღავნებენ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. ამჟამად ხელთ გვაქვს ავთანდილ ბერიძის მიერ მომზადებული „მესხური ფოლკლორის“ მეორე, მონუმეტური ტომი. ეს ორტომეული, რომელსაც მალე მესამეც დაემატება, მხარს უმშვენებს აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ „ხევსურულ პოეზიას“, ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიას“, „ქართული ხალხური პოეზიის“ თორმეტტომეულს და ხალხური პოეზიის კრებულთა სხვა გამოცემებს. ესაა საუნჯე, რომელიც ჯვარსახოვნად ქართველი ერის სულიერი ცხოვრების თვალყურის გადევნების საშუალებას იძლევა და რომელიც „განძად დაშთების“. მასში დაბეჭდილი თითოეული ლექსი თუ სხვა მასალა ლიტერატურულ და ესთეტიკურ გემოვნებას უყალიბებს მკითხველს. ცხადია, ამ ტიპის წიგნის მომზადებას, მასალის შეკრებას ძალიან დიდი შრომა სჭირდება, რაც ბატონი ავთოსგან გასაკვირი და მოულოდნელი არაა, რადგან მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ლიტერატურულ გაზეთთა შორის საუკეთესოა. მინდა მივულოცო წიგნის გამოცემა მთელს საქართველოს, მესხეთს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ვუსურვო კიდევ ბევრი წარმატება.

ვლადიმერ ზედგინიძე

„მესხური ფოლკლორი“ უდიდესი მონაპოვარია არა მარტო ჩვენი კუთხის მოსახლეობისათვის. ამ წიგნების მოცულობა და შინაარსობრივი მრავალფეროვნება შთამბეჭდავია. არაერთი დისერტაციის თუ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის საფუძვლად შეიძლება იქცეს ეს ნაღვაწი. ჩემს სიხარულს ისიც აძლიერებს, რომ ამ გამოცემებში წარმოჩენილია მამაჩემის – მწერალ გიორგი ზედგინიძის მიერ განეული შრომა, რაც ჩვენი ფოლკლორული მასალის შეგროვებას გულისხმობს. მესხური ხალხური შემოქმედება მდიდარია. ამ წიგნში მარტო 22 თქმულებაა ამირანზე შეტანილი, მესამე ტომში ზღაპრები, მესხური გამონათქვამები, გამოცანები, საბავშვო თამაშები და წეს-ჩვეულებები შევა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ქართულ ფოლკლორს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ზეპირი სიტყვიერებით გავრცელებული პოეზიისა და პროზის, შელოცვებისა თუ შაირების ეს დიდებული ნიმუშები ხშირად წერა-კითხვის არმცოდნე ჩვენი წინაპრების მიერაა შექმნილი, შრომითი საქმიანობის, ღხინისა თუ ჭირის დროს ან ერთგვარი სალონისმაგვარი შეხვედრების დროს ერთმანეთისთვის გაზიარების გზით დასწავლილი ან შეთხზული. უნიჭიერესი ჩვენი წინაპარი ხშირად წერა-კითხვის გარეშე ზეპირად დასწავლილი „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ვარიანტს ქმნიდა და გადასცემდა შთამომავლობას.

ავთანდილ ბერიძის ღვაწლი განუზომელია ამ საერო საქმეში. წარმოუდგენელი შრომაა ჩადებული ამ გამოცემებში. მზადდება მესამე ტომიც. ამდენი მასალის თავმოყრა და მომავალი თაობისათის გადაცემა ნამდვილად ქებას და ღირსეულ დაფასებას იმსახურებს.

ქეთევან გრძელიშვილი

დღეს ნამდვილად მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში; ვიხილავთ წიგნს (ავთანდილ ბერიძის „მესხური ფოლკლორი"), რომელიც, ვფიქრობ, არასდროს დაკარგავს თავის ფუნქციას, თავის ღირებულებას.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ფოლკლორი ხალხური სიბრძნეა, შესაბამისად, მესხური ფოლკლორი – მესხური სიბრძნე. წიგნის ავტორს წარმოსადგენადაც კი ურთულესი ღვაწლი გაუწევია. ამდენი მასალის ასე რუდუნებით შეგროვება, დახარისხება, ამ სფეროში მოღვაწე ყველა პიროვნების გათვალისწინება და ასეთი წიგნის გამოცემა არაა იოლი. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მოღვაწეს გააზრებული აქვს თავისი საქმიანობის არსი, კარგად იცის, რას მოემსახურება მისი ნაღვაწი; რომ ფოლკლორი, ხალხური სიბრძნე, ზეპირსიტყვიერება, ხალხური შემოქმედება ის საუნჯეა, რომელიც ყველაზე მეტად ინახავს გენეტიკურ კოდს, გენეტიკურ მეხსიერებას ერისას, იმ მეხსიერებას, რომელიც მითოსიდან იწყება და დროდადრო ამოხეთქავს ხოლმე როგორც ცალკეული ინდივიდის მხატვრულ ნააზრევში, ისე ფოლკლორულ ნიმუშებში. ეს ის საუნჯეა, რომელიც მყარად ინარჩუნებს დროთა კავშირს – „ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა" (ლეიბნიცი), რაც ერის განვითარების საწინდარია. ყოველივე ეს ასმაგად ზრდის განსახილველი წიგნის ღირებულებას. ერთხელ გადაფურცვლაც კი საკმარისია, მიხვდე, რომ მესხური ფოლკლორი ორგანული ნაწილია ქართული ფოლკლორისა, დიდად არ განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში დაცული ფოლკლორული ნიმუშებისგან. მესხურ ფოლკლორსაც ის ნიშნები აქვს, რაც, ზოგადად, ქართულ ფოლკლორს: გავრცელების ზეპირი ფორმა, ანონიმურობა, ტრადიციულობა, ვარიანტულობა, კოლექტიურობა, იმპროვიზაცია, ყოფითობა... ამდენად, ეს წიგნი დიდი შენაძენია მთელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი უნივერსიტეტისთვის, მისი მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას, იკვლიოს რეგიონის პრობლემური საკითხები. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი აკადემიური პროგრამები როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული მიმართულებით. ამირანის მითის ვარიანტები, აბესალომ და ეთერის ამბავი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი", შელოცვები, აშუღური პოეზიის ნიმუშები, ეპიტაფიები და კიდევ მრავალი, უდავოდ წარმოაჩენს წიგნში შესული მასალის მნიშვნელობას.

გილოცავთ, ბატონ ავთანდილ, ამ დიდ წარმატებას. თქვენ, ნამდვილად შეგიძლიათ გაიმეოროთ ილიას სიტყვები: მოვედი ქვეყნად და ქვეყანასაც ვარგეო.

ნატო ყრუაშვილი

22 დეკემბერი განსაკუთრებული დღეა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და სრულიად მესხეთისთვის, რამდენადაც საზოგადოების წინაშე შესანიშნავი კრებულის „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის წარდგენა მოხდა. კრებულის გამომცემელ-რედაქტორია, ყველასათვის კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე ბატონი ავთანდილ ბერიძე, რომელმაც სულ ახლახან დიდი სიხარული მოგვანიჭა „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის გამოცემით (1100 გვერდი). მის მიერ გამოცემული თითოეული კრებული გამოირჩევა თავისი შინაარსით და უნიკალურობით. მკითხველს არ გაუჭირდება იმის გააზრება თუ რა დიდი შრომაა მასში ჩადებული, რაც ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. იმისათვის, რომ ეს დიდი საქმე გაეკეთებინა, მარტო სამცხე-ჯავახეთი არ იყო საკმარისი. ბატონმა ავთანდილმა მოიხმარა საქართველოს არქივებსა და მუზეუმების ხელნაწერთა ფონდებში მიმობნეული მესხური ფოლკლორის მარგალიტები და ხელის გულზე დაგვიტოვა ისინი.

„მესხური ფოლკლორის“ ორივე ტომში თავმოყრილია ერთი მეორეზე საინტერესო ხალხური ლექსები, ლოცვები და შელოცვები, ლეგენდები და თქმულებები. იგი იმდენად საინტერესოა, რომ კითხვისას დროის შეგრძნებას აკარგვინებს მკითხველს... და, რაც მთავარია, ბატონმა ავთანდილმა დროულად შეკრიბა, თავი მოუყარა და უძვირფასეს განძად დატოვა.

ჩემთვის ეს კრებულები მრავალგზის საინტერესოა: უპირველესად, სასიამოვნოა ის, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მიერ განხორციელებული ექსპედიციების დროს მოძიებული და ჩაწერილი მასალებით არის დახუნძლული. სასიამოვნოა ის, რომ ამ დიდ საქმეში, მუზეუმთან ერთად, მცირედი წვლილი მეც მიმიძღვის. ასევე, მოგონებები მახსენებს იმ პერიოდს და ბევრ საინტერესო ადამიანს. სასიამოვნოა ისიც, რომ მდიდარი ფოლკლორული მასალაა მესხური სოფლების და მათ შორის ჩემი მშობლიური სოფლის – ხიზაბავრის შესახებ და ა.შ.

მინდა, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, ყველაფერ ამისთვის, მადლობა ვუთხრა მესხეთის საამაყო შვილს – ბატონ ავთანდილს.

ირმა მერაბიშვილი

დღეს, ჩვენს უნივერსიტეტში, ბატონი ავთო ბერიძის ,,მესხური ფოლკლორის" მეორე წიგნის პრეზენტაცია მიმდინარეობს, რომელშიც მრავალი ნიმუშია შესული მესხეთში შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერებისა. ამაყი ვარ, რომ უფლისაგან წილად მხვდა ასეთი ადამიანისაგან რჩევების მიღება, გაზეთი, რომელსაც თავის დროზე საბაკალავრო ნაშრომი მივუძღვენი, სწორედ ბატონი ავთოს ,,ლიტერატურული მესხეთი" იყო, გაზეთი, რომელიც სწორედ რომ ისტორიის ფურცლებია და უამრავ ცოდნას ინახავს. მეამაყება, რომ ამ წიგნში უდეში შეკრებილი ჩემი ლოცვებიც იმზირება, ეს ამ სიმრავლეში წვეთის წვეთია და წარმოიდგინეთ, რა შეუფასებელი შრომა აქვს გაწეული. ბატონმა ავთომ დამარწმუნა, რომ ფოლკლორი ის სისხლძარღვია, რომელიც მუდამ ახალი სისხლით ივსება, ახალი ენერგია ემატება, ამის გაფრთხილება და თაობებისთვის გადაცემა კი ყველაზე საშური საქმეა, ვინაიდან სწორედ ესაა ჩვენი ,,მარადიული ვალი".

კობა მოღდბაძე

მოხარული ვარ რომ ვესწრები მესხური ფოლკლორის მეორე ტომის წარდგენას საზოგადოების წინაშე. დიდია ბატონ ავთანდილ ბერიძის ღვაწლი მესხეთისა და სრულიად საქართველოსადმი. ჩვენს წინაშეა პოეტი, გაზეთ „ლიტერატული მესხეთის“ დამფუძნებელი და რედაქტორი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დღეს კი მესხური ფოლკლორის ორი ტომის დიდი შრომის ფასად შემკრები და გამომცემელი. ეს ორტომეული დიდი საუნჯეა მესხეთისა და მესხებისთვის, რომელიც ეპოქებს გაუძლებს.

...

და ბოლოს, თითოეულმა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მესხური ფოლკლორის“ ორივე გამოცემა დიდი შენაძენია ქართული ფოლკლორისტიკისთვის, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს როგორც დარგის სპეციალისტებს, ასევე სტუდენტებს და დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

მაია ივანიძე

XX საუკუნის 80-იანი წლების ქართული პოემის პრობლემატიკა

სოსო გიქოშვილი

გასული საუკუნის 80-იანი წლები ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია უახლესი ქართული პოეზიის ისტორიაში. საინტერესოა, ვინაიდან იგი ხასიათდება უმნიშვნელოვანესი ძვრებით, ახლებური პოეტური პრობლემატიკით. ამ პერიოდის სახეს მნიშვნელოვანწილად 70-იანი წლების პოეტებიც ქმნიდნენ, მაგრამ 70-იანი წლებიდან ეროვნულ პოეზიაში ადგილი დაიმკვიდრა ახალმა თაობამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქართული ლექსის ვერსიფიკაციური მხარის განახლებაზე, პოეტურ სახეთა ახლებურ გააზრებასა და პრობლემების პოლემიკური თვალსაზრისით გაანალიზებაზე, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, იმავე წლებში, კვლავ ნაყოფიერად განაგრძობდნენ მოღვაწეობას უფროსი თაობის წარმომადგენლებიც (ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი).

80-იანი წლების დამდეგს საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისაგან შედარებით გათავისუფლებულმა ქართულმა პოეზიამ ახალი სასიცოცხლო ძალებით გაამდიდრა ქართული ლექსი, მეტი პოეტური დამაჯერებლობით და აზრობრივი სიღრმით დაინერგა ახლებური ტენდენციები, რამდენადმე შეიცვალა ლექსის ინტონაციური წყობა. როგორც ლიტერატურის მკვლევარი თეიმურაზ დოიაშვილი შენიშნავს – *,,განხორციელდა ე.წ ყოფითი რეფორმები“.* ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 80-იანელთა კვალდაკვალ მოსული ახალი თაობა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ერთგვარი დილემის წინაშეც კი, კერძოდ, მათ უნდა გაებათილებინათ წინა ათწლეულებიდან ჯერ კიდევ შემორჩენილი სტერეოტიპული შეხედულებები, რომ *„ყველაზე კარგი ლექსი უკვე დაწერილია“* და ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ სინამდვილეში, მართლაც არსებობდა მნიშვნელოვანი მაღალი ღირებულების მქონე ეროვნული პოეზია. ყოველივე ზემოაღნიშნულმა სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ჩვენი აზრით, 80-იანელთა თაობას შთაუნერგა, ეძია გზები ახალი ვერსიფიკაციური აზროვნებისაკენ, რაც თანდათან გამოიხატა კიდეც ტრადიციული ქართული ლექსისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფორმის უარყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ 70-80-იანი წლების ქართველ ლირიკოსთა ინდივიდუალურობას განსაზღვრავდა საკუთარი ხელწერა, პოეტური გარდასახვის ორიგინალური ხერხები, მათ შორის, ბევრი რამ საერთოც გამოიკვეთა, თუნდაც ეროვნული თემატიკა – ადამიანის, როგორც პიროვნების სულიერი სამყაროს წარმოსახვა თავისი მსოფლმხედველობით, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია.

და მაინც, გარკვეული ნიუანსების მთლიანობისა, 60-იანი წლების პოეზიაში წინა ათწლეულებისაგან განსხვავებით, უფრო ხელშესახებად გამოიკვეთა ტაბუირებული თემების წინ წამოწევა და ეს იყო: ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემები (აქ მხედველობაში გვაქვს 1959 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენები) და სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებულობის აღდგენისკენ, რაც მაშინ მძაფრი საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ახალგაზრდა პოეტებისაგან მაღალმოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა, რომელთაგან გამოვყოფდით **მუხრან მაჭავარიანს** და **მურმან ლებანიძეს.**

მუხრან მაჭავარიანი 80-იანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო და თვითმყოფადი შემოქმედია. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროინდელი ლექსებით, 1947-1951 წლებში, რამდენიმე პოეტთან ერთად (მურმან ლებანიძე, მორის ფოცხიშვილი, მიხეილ ქვლივიძე) მძლავრი წინაპირობა შექმნა ეროვნული პოეზიის თვისობრივი განახლებისათვის. მურმან ლებანიძე წერდა: *„მუხრან მაჭავარიანი მოგვევლინა მოულოდნელი, მანამდე ჩვენთვის უცნობი, ერთი შეხედვით, უჩვეულო ქართული ლექსით, იგი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს. 70-იან წლებში მუხრან მაჭავარიანის პოეზია ახალ სიმაღლეზეა, მისი შემოქმედების ძირითადი მისიაა – ენის, მამულის ღირსების დაცვა, გმირ წინაპართა სახელების უკვდავყოფა, რაზეც მიუთითებს 1968-81 წლებში შექმნილი ლექსები: ,,ახლა კი დროა“, „რაც ჯერ არ მითქვამს,“,,ციკლიდან 1832 წელი“.*

ჩამოთვლილ ლექსებში, პოეტის ენით რომ ვთქვათ, დღის წესრიგში კვლავ აქტუალურად იდგა ,,ქართლის ბედისა“ და „ქართლის ჭირის“ საკითხები. ცხადია, რომ, ვითომ, საბჭოთა პოეტისთვის ასეთი ეროვნული ტენდენციის დამკვიდრება ადვილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ,,მართლის თქმის პრინციპი“ ყველაფერზე მაღლა იდგა, ერის ცნობიერებას ფხიზელი და ძლიერი შემოძახება სჭირდებოდა:

„როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?
ქვეყანას სძინავს, დღეს ღვიძავს ვისლა,
ჩვენი მზის სხივის, ჩვენი ზვრის ყურძენს,
როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან...“

ან კიდევ:

„ნეტა თქვი, ჩვენში ყოველგვარი რამ
ჩაჰკლა რისკი?

და დუმილისკენ,
ღრმა დუმილისკენ,
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?“

საზოგადოებაში გამეფებული დუმილის დასარღვევად პოეტი ამხელს როგორც საკუთარ, ისე სხვის დანაშაულსაც ლექსში „სოლომონ დოდაშვილი“, ვინაიდან დუმილი, შეგუება არსებულ რეალობასთან, უზნეობად მიაჩნია. ლექსში ვკითხულობთ:

,,ვარ დამნაშავე, რამეთუ ვითომენ,
რაც მესმის იმას, და რასაც ვხედავ...“

მუხრან მაჭავარიანი უკომპრომისოა 80-იანი წლების სინამდვილის მიმართ, რაც აშკარად ცხადდება შემდეგ ლექსებში: „ვაი, ჩვენს პატრონს“, „თქვა ოპიზარმა“, „კრწანისი“, „დუმილი რეკავს“. უკომპრომისობა და მამხილებელი ტონი ბუნებრივად მომდინარეობს პოეტის სულიერი სამყაროდან, ამიტომაცაა ძლიერი მისი შემოქმედება მკითხველთა ცნობიერებაზე. მუხრან მაჭავარიანის პოეტური მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები, პირველ რიგში, იკვეთება ეროვნული პრობლემატიკის გააზრების დროს, კერძოდ, ისეთ ლექსებში, როგორიცაა: „ამას არ უნდა დასტური სხვისი“, „გურამიშვილის არ იყოს“, „შუღლი“, ,,ნუ გათათრები“, „თუ სიკვდილია“, ,,რისთვისღა“, ,,ქართველი ამას იკადრებს? – არა!“.



ჩამოთვლილთაგან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ლექსი ,,ქართველი ამას იკადრებს – არა!“ რომლის დაწერის საფუძველი გამხდარა პეტრე კონჭოშვილის წიგნი ,,მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“ (1901), სადაც გამოთქმულია გულისტკივილი იმის შესახებ, რომ ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ქართული წარწერების შინაარსი შეუცვლიათ, მაგალითად, „საქართველოს მეფენი...“ – „ბიზანტიელნი მეფენით,“ ,,თორნიკე ერისთავის“ მაგიერ „ნიკოფორე – ბერძენთა კეისრით“.

ასე, რომ პოეტის აზრით *„გამოუყვანეს ქართულ ტაძრებს უტიფრად წირვა,“* რომ *„გვინგრევენ წარსულს, გვაოხრებენ, – ჩვენ ყურზე გვძინავს“.* ისტორიულად არაერთი ფაქტია დაფიქსირებული დასტურად იმისა, თუ რა გზით, რა ხერხებით ურცხვად ისაკუთრებდნენ ქართულ გვარ-სახელებს, ქართულ მიწა-წყალს, თვით ქართულ ტრადიციებსაც კი:

,,სადაც ქართული წარწერაა,
თავისას წერენ...
ისაკუთრებენ, –
ერთდროს ჩვენმა
რაც შეჰქმნა ხალხმა, –
და...
„ჩვენიაო!“ –
გაჰყვირიან საქვეყნოდ მერე.

ქართველი ამას იკადრებს?!
არა!“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული პოეზიის ერთი აქტუალური თემაა ენის საკითხი, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით იჩინა თავი მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში, კერძოდ, „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, „რაშია საქმე?!“, ,,ენა ქართული“, ,,სიტყვა თქმული ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ“... ეს ბოლო ლექსი დაწერილია 1978 წელს, რომელშიც ავტორი მკაცრი, მამხილებელი და, ამავდროულად, ირონიული ტონით წარმოაჩენს ყველა იმ ნეგატიურს, რომელიც ქცეულა ქვეყნის ეროვნული უბედურების მიზეზად:

„უცხოს როდესაც ჰკოცნი იაზონს
და ზურგზე ისვამ როგორც იამბო,
თავმა თუ არა, ტვინუსუსურო,
ტვინმა ქე, მაინც უნდა გიაზროს...
რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბორს...“

იმავე 1978 წელსაა დაწერილი ლექსი ,,იარს უსასრულოდ“. იგი გამოხატავს ქართული ენის ისტორიულ ძნელბედობას, მის გამძლეობასა და უკვდავებას. ლექსში ვკითხულობთ:

,,სომხურად რომ ერქვა ფაიტაკარანი,
ტფილისზე გადიოდა გზები ქარავნის,
ვაჭრობდნენ ასურნი,
ისმოდა თარის, ისმოდა ხმა ზურნის,
ვინ ქრისტეს ესავდა, ვინ მაჰმადს ესავდა,
კრთის ენა ქართული აქამდის მოსული...“

და მაინც, პოეტს სჯერა, რომ მშობლიური ქართული ენა ,,იარს უსასრულოდ“ ანუ იარსებებს დაუსაბამოდ. ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ ერთიანდება 1978 წლის დაწერილ ლექსში „ენა ქართული,“ რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია, სადაა, მაგრამ სისადავეში პოეტურად ამეტყველებულია მშობლიური ენის ულამაზესი ჰიმნი:

,,ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! – იმოდენაა!“

როგორც ვხედავთ, ამ ჰიპორბოლური შედარებით მუხრან მაჭავარიანი მშობლიური ენის სიყვარულსა და სიდიადეს, თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს, როგორც თავად იტყოდა, „რუსთაველისა და საბას ენისადმი“. ანალოგიური იდეური არსისაა მანამდე დაწერილი ლექსებიც „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.“ (1973); ,,რაშია საქმე?“ (1974). ამ უკანასკნელს ახლავს მინაწერიც „პასუხად ყველას, ერთს ჰქადაგებს ვინცა ვინ ენას.“

ქართულ ენას ერთბაშად როდი შექმნია პრობლემები: 1978 წლამდე, როცა საბოლოოდ წყდებოდა ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად ყოფნა-არყოფნის ბედი, აშკარად გამოიკვეთა თუ საით მიემართებოდა ამ თვალსაზრისით მოძალადე რუსული იმპერიის ზრახვები პატარა ერების მიმართ. სწორედ ამან ათქმევინა პოეტს:

„კი, მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელაა?! –
ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი
ჰგონია ენა!!“

ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულმა ასეთმა სულისკვეთებამ ბევრად შეუწყო ხელი ეროვნული გრძნობის ამაღლებას ქართველ ახალგაზრდობაში, რომელმაც ღირსეულად აღიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ და უდიდესი როლი ითამაშა ქართული ენის სახელმწიფო ენად დარჩენის საქმეში. სამწუხაროდ, „ხმის ამაღლებას“ უმტკივნეულოდ როდი ჩაუვლია და მუხრან მაჭავარიანი ერთგვარი წინასწარმეტყველური განცდით დამაფიქრებლად სწუხდა მომავალში შესაძლო „დასაღვრელ სისხლზე“, ლექსში „მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს“ (1972):

,,მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს
ვალს, ზოგჯერ ისიც, გვახსენებს ისღა...
სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მადარდებს სისხლად“...

აქ უთუოდ პარალელი უნდა გავავლოთ 80-იანი წლების პოეტური ფასეულობებით აღსავსე შემოქმედის – მურმან ლებანიძის პატრიოტული ლირიკის შედევრთან – ,,უფლისციხესთან,“ რომელიც 1971 წელსაა დაწერილი:

,,უფლისციხესთან სისხლიფერი
ყაყაჩოს წვეთი,
არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ,
მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არ გამაჩნია!...“

ლექსში სტროფების ბოლო ტაეპები მეორდება, რაც ჩვენი აზრით, ლირიკული გმირის სათქმელს სათანადო კატეგორიულობითა და ამაღლებული პათოსით გამოხატავს.

ზოგადად, 80-იანი წლების პოეტური ტენდენციებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ისტორიული წარსული, წინაპართა სახელები, რაც მუხრან მაჭავარიანის იმავე ათწლეულის პოეზიისთვის ნიშანდობლივია. მას ლირიკულ გმირებად ხშირად გამოჰყავს ქართველთა სათაყვანებელი ისტორიული პირები – მეფე ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, სულხან-საბა, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე. აქ, თუნდაც, საკმარისი იქნება თუ გავიხსენებთ პოეტის შედევრს ,,საბა.“

ვერსიფიკაციის თვალსაზრისით მუხრან მაჭავარიანი და, არა მარტო ის, 80-იანელთა უმრავლესობაც ერთგული დარჩა ნაცადი გზისა, ამ თვალსაზრისით ზემოხსენებულ ათწლეულში მნიშვნელოვანი სიახლე მის პოეზიაში არ ჩანს. ესაა პოეტური ენის სისადავე, თხრობის უშუალობა, თავისუფლება. პოეტისთვის, თანამოკალმეების მსგავსად, მისაღებია ყოფიერების ყოველი წვრილმანი, რადგან ჭეშმარიტი პოეზიისთვის არ არსებობს უმნიშვნელო დეტალები. აი, რას წერდა ცნობილი კრიტიკოსი გურამ ასათიანი 1979 წელს მუხრან მაჭავარიანის პოეტური ტენდენციების შესახებ: *„მუხრან მაჭავარიანის პოეზიას თავისი თანმიმდევრული ადგილი უკავია დღევანდელ ქართულ ლირიკაში. იგი მომხრეა პოეტური გამოხატვის უკიდურესი სისადავისა და ბუნებრიობის. ამ მხრივ მას ბევრი რამ აკავშირებს ჩვენი ეროვნული კლასიკის გარკვეულ ტრადიციებთან, მაგრამ ამავე დროს იგი შეგნებულად მიმართავს ამ ტრადიციების გაბედულ უარყოფას, მის რღვევას“.*

80-იანი წლების პოეზიაში სიუხვითა და პოეტური ღირებულებით მნიშვნელოვანია მუხრან მაჭავარიანის პოეზია, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ამ ათწლეულის ნიშანდობლივი პოეტური ტენდენციები, რომლის სერიოზულად შეფასება, ჩვენი აზრით, ცალკე განსჯის თემაა.

ფოლკლორი

***

ჩემნაირი უპოვარი
დუნიაზე სად არს კაცი?!
ბედ-იღბალი ყველას წყალობს,
გამრჯელია თუ ზარმაცი.

რა ვიცოდი, ბედის ნაცვლად
თუ ბოროტი მომელოდა,
სიღატაკე და შიმშილი
ოდითგანვე მერგებოდა.

***

უფლის წყალობა გვებოძა,
ყველასა გვყავს ძროხა, ხარი,
აპოხტი და ქვავის პური,
წიფლის შეშა და ბუხარი.

***

თოფი გავარდა თუთაჯვარს,
ორღელეს, ფიქვის ტყეშია,
დაგორდნენ ურჯულოები,
უფსკრულებსა და ხევშია.

– ნეტავ ვინ იყო მეთოფე,
მთაზე დგას მაღლა წვერშია,
მგონი რო ჩვენებურია,
თოფი უჭირავს ხელშია.

***

უსინდისოა სიკვდილი,
ვერ წვდება კაცთა გონება,
ბერიკაცს გვერდით ჩაუვლის,
ჭაბუკი მოეწონება.

***

ბოროტი მისდევს თავის წესს,
აზრი აქვს ტალახიანი,
იმ კაცს ოჯახი კარგი აქვს,
თუკი იქნება ფხიანი.

***

ხვატი ჩამოდგა აგვისტოს,
გადაიბრაწა მთა-ბარი,
სეტყვა არ გვინდა, უფალო,
დაგვაქცევს დიდნიაღვარი,
მარცვლეულს გაგვინადგურებს,
ყოფა გვექნება სხვაგვარი.

მთქმელი იოსებ გიქოშვილი,
89 წლის, ქ. ახალციხე, სოფ. ივლიტა.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა
2023 წლის ივნისში

თემურ ჩალაბაშვილი



ქართველმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე (2018) თეიმურაზ ჩალაბაშვილი.

თ.ჩალაბაშვილმა ლექსების წერა ბავშვობის ასაკიდან დაიწყო. იგი აქტიურად თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთებში, ხოლო რესპუბლიკურ პერიოდულ გამოცემებიდან მისი პოეტური ნათლობა ლიტერატურულ ჟურნალ „დროშაში“ დაიწყო.

თ. ჩალაბაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომლად. გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტში – უფროს რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ განყოფილების გამგედ. ავტორია ოთხი პოეტური კრებულისა.

თ.ჩალაბაშვილის ლექსებზე შექმნილია არაერთი სიმღერა, მისი ლექსები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ გაზეთებში, მათ შორის გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთშიც“.

მიღებული ჰქონდა ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის პრემიები, სულ ახლახან კი ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა ლიტერატურული პრემია „მუზა“.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია,
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაცია

მესხეთიდან

წარსულის ფურცლები

ერთი იმ გვარი საკითხთაგანი, რომელიც მთელ ქართველობის ყურადღებას იპყრობდა, ეს სამი ოთხი წელიწადი, ეს არის სამაჰმადიანო საქართველო. მართალი უნდა ითქვას, აქ ქართველობამ გამოიჩინა უნარი და ერთგვარი ხასიათის სიმტკიცე, რაიცა დამტკიცდა აჭარაში მუშაობით, მაგრამ ამავე დროს დაავიწყდა მეორე მხარე, ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს. იმ დროს, როდესაც აჭარაში მრავლად იხსნებოდა სკოლები, საავადმყოფოები და სხვა საკულტურო დაწესებულებანი, იმ დროს როდესაც აჭარაში მრავლად (შედარებით) მუშაობდა ქართველი ინტელიგენცია და ნიადაგს უმზადებდა ეროვნულ აზრს და ორიენტაციას, მაშინ ეს კუთხე სრულიად მიტოვებული იყო და ძალიან ნაკლებ შეხვდებოდით კულტურულ მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ქართული რამ ამ მხარეში უფრო მივიწყებულ იყო და ნელ-ნელა, რაც იყო დარჩენილი, ისიც იკარგებოდა. საშინელი გაუნათლებლობა, სიბნელე, რელიგიური ფანატიზმი, აი რა იყო და რა არის გამეფებული ამ მხარეში. ამ მდგომარეობაში იყო მესხეთი, რომ თავისუფლებამ მოასწრო და ისარგებლა ამ გარემოებით თვალხარბმა მტერ-მოყვარემ და გააჩაღა აქ ტუმკოფილური მუშაობა. ამას ხელი შეუწყო ბეგობამ, ვინაიდან ამ წოდებამ დაინახა საქართველოში სოციალური მოძრაობა იწყებოდა და ძლიერდებოდა და თუ ქართველობა შევიდოდა იქ თავის კულტურით, აშკარაა, გადაიტანდა სოციალურ მოძრაობას, მასსა განათლდებოდა და ადვილ საკრეჭ ცხვრად აღარ გახდებოდა მათი. თავის ინტერესების დამცველად დაინახა ბაქოელი თათრების ორიენტაციის შეტანა და მათ ხელი შეუწყო და ნელ-ნელა ათქმევინა ხალხსაც, რომ იგი არა ქართველი იყო. ამას ზედ დაერთო სხვა და სხვა პირთა პროვოკაციული გამოსვლები და რელიგიური ჭორები, რომელმაც მათი საქმე უფრო კარგად წაიყვანა, ქართველობას კი, როგორც ასეთს, ჯერ ხმა არ ამოუღია და აქ არ გაუჩაღებია მუშაობა. იგი პოლიტიკანობითაა გამსჭვალული და ამ უაღრესად დიდ საქმეს კი სრულიად ყურადღებას არ აქცევს.

დღეს აქეთ ქართველობა თუ მუშაობს, მხოლოდ პარტიულად, დამფუძნებელ კრებისათვის ხმა მეტი მიიღოს. აი ეს არის დამღუპველი და საუკეთესო იარაღი იმისა, რომ მთელი ეს მაზრები ხელიდან გამოგვეცალოს, ამითი ხელს ვუწყობთ გამარჯვებაში ჩვენს მტრებს. ერთ დღეს მიდის მათთან ამა თუ იმ პარტიისა და ეუბნევა, მე ვარ თქვენი მხსნელი და წყლულზე მალამოს დამდებიო და სხვა ყველა, თქვენი მტერიაო. მეორე დღეს მიდის მეორე და ეუბნევა: გუშინ რომ იყო, ის თქვენი მტერია, თქვენი სისხლის მწოველი, არ ენდოთ იმასო და ასე ბოლომდის. აი, დღევანდელი ქართველების მუშაობა! აშკარაა, იკარგება ყოველგვარი ნდობა ქართველებისადმი. ან არა და თუ მოიპოვება საკულტურო რამ დაწესებულება აქეთ, ზოგან სათავეში მღვდლები უდგანან და ქართველების სახელით ისინი იჭერენ მათთან საქმეს. ესეც მეორე დიდი სიბეცე და სიმახინჯე. აქ უკვე იჭვი იბადება, მათ ჩვენი მონათვლა ხომ არ უნდათო. ამის ეჭვს უკვე უმტკიცებენ ბაქოს ორიენტაციის მატარებელნი. ყოფილა შემთხვევა, სოფელს განუცხადებია სურვილი ქართული სასწავლებლის გახსნისა და დახმარებას შეჰპირებია, მაგრამ როდესაც მღვდელი ასულა, უარი განუცხადებია. ქრისტიანებისა თაფლიც არ გვინდაო. იმის შემდეგ მღვდლებმა კრინტიც კი არ უნდა დასძრას, რაც გინდა იგინი კეთილ განზრახვითაც არ იყვნენ გამსჭვალულნი და დადგნენ უკანა რიგში, სადაც თუ შესძლებენ იმუშაონ.

და პირველ ყოვლისა კი ინტერპარტიულმა საბჭომ უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება სხვა და სხვა პარტიების პროპაგანდისტების მოქმედებას ამ მხარეში, რომელიც მეტად აფერხებს საქმეს და თუ შესაძლებელია აუკრძალოს პარტიული „მუშაობა“ და ხმების მოკრება. თუ შეუძლიანთ წმინდა ეროვნული თვალსაზრისით, უნდა მიუდგნენ და ეროვნული მუშაობა აწარმოვონ. ამას მოითხოვს საქართველოს მთლიანობის აზრი, ამას მოითხოვს საღი ჭკუა გონება და თუ კიდევ შეგვრჩენია ეროვნული სახე, ეროვნული გრძნობა და ინსტიქტი თავ დაცვისა, შევიდეთ ეხლავე ამ მხარეში კულტურული საშუალებით, განათლების სანთელით. ძალა ერთობაშია და კულტურულ მუშაობაში. ამ იარაღით ყველას დავამარცხებთ.

ნ. კეცხოველი
აბასთუმანი
„საქართველო“, 1915 წელი, N250

ერთი ჯავახური სოფლის თავგადასავალი

◀ დასაწყისი გვ. 11

მპოვნელისთვის დიდი ჯილდო დაუწესებიათ, ვერაგულად შეუპყრიათ და მოხუცი ნიკოსთვის წამების შემდეგ თავი მოუკვეთიათ. მისი მოკვეთილი თავი მარგილზე ჩამოუცვიათ და მცველები მიუჩენიათ. ქართველ პატრიოტებს მცველები ამოუხოციათ, ნიკოს ცხედარი გამოუტაცნიათ და სათანადო პატივით „როკეთის“ გზაზე (რომლითაც მან ქართველების ჯარი აწყურიდან ასპინძამდე გადმოატარა) მდებარე „ელიზის“ ტბის პირას, მიწისთვის მიუბარებიათ. ახლაც არისო ელიზის გზის პირას ერთი ლოდი, რომელსაც „გზირის ყორღანს“, „ობოლ საფლავს“ ეძახდნენ. ძველად აქ, თურმე, ყოველწლიურად, გვიან შემოდგომით, კოთელიიდან თავისიანები (მოხუცი ეგრისელაანთ ბერიძეებიდან ყოფილა) გადმოდიოდნენ და გმირ ნიკოს პარაკლისს უხდიდნენო.

მომეტებულმა რეპრესიებმა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, მათ შორის კოთელიელები კი გაამწარა, მაგრამ ბოლომდე ვერ გატეხა და ვერ შეაშინა. მალე, როცა 1772 წელს მეფე ერეკლემ და იმერეთის მეფე სოლომონმა ახალქალაქის ციხეს ალყა შემოარტყეს, კოთელიელები მაშინაც უმალ ქართველების გვერდით გაჩნდნენ. სამწუხაროდ იმერეთის მეფე ცხელებით ძალიან მძიმედ შეიქმნა, რის გამოც ქართველთა ლაშქარმა ალყა მოხსნა, მოარბია ჯავახეთი, კოლა და სამცხე და ნადავლით ხელდამშვენებული საციციანოში გადავიდა. კოთელიის მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთის ბევრ სოფელთან ერთად, ახლა უფრო მეტად განაწყენებული და გაბოროტებული მტრის პირისპირ მარტოდმარტო დარჩა. მანამდე სამცხის მოსახლეობასთან შედარებით გამუსულმანებას გადარჩენილი ჯავახეთის ბევრი სოფლის მოსახლეობა სწორედ მაშინ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, გაუსაძლისი ზეწოლის გამო, გამუსლუმანდა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში, უკვე რუსების შემოსვლის შემდეგ, ახლა მათ მიერ შექმნილი პირობების და იძულების გამო ბევრი მათგანი „გამოჰაჯირდა“ და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ოსმალეთის სიღრმეებში გადაიხვეწა!..

მიუხედავად ამ ტრაგიკული მოვლენებისა, ჯავახეთის რამდენიმე სოფლის მსგავსად, ბოლომდე სარწმუნოებაშენარჩუნებული კოთელიის მოსახლეობა სიხარულით და იმედიანადაც კი შეხვდა ჯავახეთში ვითომდაც ერთმორწმუნე რუსეთის არმიის დანაყოფების გამოჩენას. 1807 წლიდან მოყოლებული 1811 წლამდე, ვიდრე რუსების არმიამ პირველად აიღო ახალქალაქის ციხე, ბევრჯერ უმეგობრეს მათ და ბრძოლებშიც გვერდით დაუდგნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ძალიან ძვირად დაუჯდათ, აღმოჩნდა, რომ მკვიდრი ქართველების მიმართ რუსებს აქაც სულ სხვა წინასწარგანზრახული გეგმები ჰქონდათ...

(გაგრძელება იქნება)

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com